

**სს “კავკასრეესტრი”
მოსაწვევი აქციონერთა მორიგ კრებაზე
მოსაწვევი მომზადებულია “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის და საზოგადოების
წესდების შესაბამისად**

ქ. თბილისი,

09.11.2023

აქციონერთა კრების მოწვევის მიზანია, რომ აქციონერთა კრებამ დაამტკიცოს წარმოდგენილი წესდება და მიიღოს გადაწყვეტილება კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემების “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე. სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მნიშვნელობის შესახებ წარმოდგენილია დეტალური ინფორმაცია. (იხ. წესდებაში ცვლილებების დასაბუთება, საინფორმაციო ბარათი აქციონერებისათვის)

ა) საერთო კრების ჩატარების თარიღი და ადგილი;

- გაცნობებთ რომ სს “კავკასრეესტრის” აქციონერთა კრება გაიმართება 2023 წლის 30 ნოემბერს, 12:00 საათზე, კომპანიის მისამართზე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11

ბ) საერთო კრების ჩატარებისა და ხმის მიცემის ფორმები;

- კრებაზე დასწრება შესაძლებელია როგორც პირადად ასევე წარმომადგენლის მეშვეობით, ნოტარულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე. კრებაზე ხმის მიცემა განხორციელდება ღია კენჭისყრით ფორმით.

გ) საერთო კრების დღის წესრიგი;

1. სს “კავკასრეესტრის” წესდებისა და სარეგისტრაციო მონაცემების დამტკიცება, საწარმოს რეგისტრაციის მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
2. განთავსებული კაპიტალის და აქციის ნომინალური ღირებულების ცვლილება;
3. 2022 წლის აუდირებული ანგარიშის დამტკიცება;

დ) საერთო კრების დანიშვნის შესახებ აქციონერებისთვის შეტყობინების ფორმა;

- კრების ჩატარების დროისა და ადგილის შესახებ აქციონერებს ეცნობებათ კომპანიის პორტალზე შესაბამისი ინფორმაციის, განთავსების გზით. ინფორმაცია პორტალზე განათესდება კრების ჩატარების თარიღამდე სულ მცირე 21 დღით ადრე.

ე) აქციონერებისთვის გადასაცემი მასალების ნუსხა და ამ მასალების გადაცემის წესი;

- მოქმედი წესდება;
- ახალი წესდების (პროექტი) (სუფთა ვერსია და ვერსია ცვლილებებით თვალსაჩინოებისათვის.)
- წესდებაში ცვლილებების დასაბუთება (საინფორმაციო ბარათი აქციონერებისათვის)
- სადამფუძნებლო შეთანხმება (პროექტი)
- აქციონერთა კრების გადაწყვეტილების პროექტი;

- 2022 წლის აუდირებული ანგარიში.

ვ) საერთო კრების სააღრიცხვო დღე.

- საერთო კრების სააღრიცხვო დღედ განისაზღვროს 2023 წლის 2 ნოემბერი. საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც სააღრიცხვო დღეს აქციონერებად ირიცხებიან. აქციონერის ხმის უფლება განისაზღვრება აქციათა რაოდენობის მიხედვით.

საერთო კრების დღის წესრიგის მასალები შეიცავს გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ინფორმაციას.

მომხსენებელი: კრების თავმჯდომარე, ბატონი ვახტანგ სვანაძე

პატივისცემით,
დირექტორი:
მერაბ ვარდიშვილი



09.11.2023

დანართები:

- მოქმედი წესდება;
- ახალი წესდების (პროექტი) (სუფთა ვერსია და ვერსია ცვლილებებით თვალსაჩინოებისათვის);
- წესდებაში შესწორებების დასაბუთება (საინფორმაციო ბარათი აქციონერებისათვის);
- სადამფუძნებლო შეთანხმება (პროექტი);
- აქციონერთა კრების გადაწყვეტილების პროექტი;
- 2022 წლის აუდირებული ანგარიში.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



41276508129214

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება
**სამეწარმეო იურიდიული პირის წესდების დამოწმების
ცვლილება**

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140949806



რეგისტრაციის თარიღი

05.09.2014 წ

ნოტარიუსი: ციური ბერიძე

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.

ტელეფონი: 2-23-08-90.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

რეგისტრირებულია საქართველოს
ფინანსთა სამინისტროს
საგადასახადო დეპარტამენტის
თბილისის საგადასახადო ინსპექციის
უფროსის ბრძანებით

№7053/006-5ა/5-58 ს/ს
23 აგვისტო, 2006 წელი

მიღებულია სს „კავკასრეესტრის“
აქციონერთა კრების მიერ
2006 წლის 22 მაისს,
(ოქმის სანოტარო რეესტრში
რეგისტრაციის №1-483)

აქციონერთა კრების მიერ
შეტანილ იქნა ცვლილებები:
16 თებერვალი, 2007წ.
3 აგვისტო, 2012 წ.

საქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“

წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქცია)

თბილისი
2006 წ.

სააქციო საზოგადოების „კავკასრეესტრის“ წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებები

- 1.1. „კავკასრეესტრი“ არის სააქციო საზოგადოება. მისი სრული სახელწოდებაა:
ქართულად – სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი“.
ინგლისურად – **Joint Stock Company „Caucasian Register“**.
- 1.2. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი“ (შემდგომში „კავკასრეესტრი“) წარმოადგენს იურიდიულ პირს. საწესდებო ამოცანების შესასრულებლად მას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.
- 1.3. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“ საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეესტრის წარმოება.
- 1.4. „კავკასრეესტრის“ სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.
- 1.5. თავის საქმიანობაში „კავკასრეესტრი“ ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით.
- 1.6. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“ ადგილსამყოფელია:
ქ. თბილისი, 0162, მოსაშვილის ქ. №11.

„II. საზოგადოების ფუნქციები და საქმიანობა

- 2.1. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“ ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:
 - 2.1.1. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ან/და ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ემიტენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში;
 - 2.1.2. ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება, ფასიანი ქაღალდების ბრუნვის დროს რეესტრში ახალ მფლობელთა შესახებ შესაბამისი ჩანაწერების შექმნა და მათ ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების გადაცემა;
 - 2.1.3. ანგარიშის მფლობელთა ანგარიშიდან ამონაწერის ან/და ანგარიშზე ბრუნვის უწყისის მომზადება და გაცემა;

- 2.1.4. ემიტენტის მიერ განხორციელებული კორპორაციული ქმედებების ასახვა რეესტრში შესაბამისი ოპერაციების (გლობალური ოპერაციები - აქციების დანაწევრება, კონსოლიდაცია, რეორგანიზაცია და სხვ., ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისიის) განხორციელების გზით, მათ შესახებ ოქმისა და ამონაწერების მომზადება ემიტენტის მოთხოვნით;
- 2.1.5. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სიის შედგენა სააღრიცხვო თარიღებისთვის და ემიტენტისთვის მიწოდება;
- 2.1.6. ემიტენტის მოთხოვნით (დავალებით) ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის შეტყობინების მომზადება ან/და დაგზავნა საერთო კრების და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ ან/და დადგენილ ბეჭდვით ორგანოში შეტყობინების გამოქვეყნება, აგრეთვე საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და დღის წესრიგის საკითხებზე ხმის მიცემის ორგანიზება;
- 2.1.7. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ან ანგარიშის მფლობელთა პიროვნული ანგარიშების ბლოკირება და/ან ბლიკირების მოხსნა;
- 2.1.8. რეესტრში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;
- 2.1.9. რეესტრში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მხოლოდ კანონმდებლობის დადგენილი სუბიექტებისთვის;
- 2.1.10. ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის დელეგირებული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება;
- 2.1.11. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან და მათ აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ლიცენზიითა და ემიტენტებთან დადებული ხელშეკრულებებით.
- 2.2. „კავკასრეესტრი“ ვალდებულია თავისი წესები შეიმუშავოს კანონმდებლობისა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს წესების შესაბამისად.

III. საწესდებო კაპიტალი და აქციები

- 3.1. ს.ს. "კავკასრეესტრის" საწესდებო კაპიტალი შეადგენს 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარს. იგი დაყოფილია ერთი ლარის ნომინალური ღირებულების თხუთმეტი ათას ცალ აქციადა.
- 3.2. სს „კავკასრეესტრის“ აქციების ფლობის უფლება და ერთი პირის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3.3. საზოგადოების აქციათა გადაცემა დამოკიდებულია საზოგადოების თანხმობაზე. ამასთან, საზოგადოება ვალდებულია განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე, თუ ამით მის არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. თანხმობას იძლევა დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

3.4. აქციონერთა უფლებებში შედის:

3.4.1. მიიღონ მონაწილეობა სააქციო საზოგადოების მართვაში აქციონერთა კრებაზე მათი ხმების შესაბამისად.

3.4.2. გაეცნონ საზოგადოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს.

3.5. სს „კავკასრეესტრის“ შემოსავლები იქმნება:

3.5.1. სააბონენტო, საკომისიო და სხვა შენატანებისგან და გადასახდელებისაგან;

3.5.2. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

3.6. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი გადადის სააქციო საზოგადოების სრულ განჭარბულებაში.

IV. აქციონერთა საერთო კრება

4.1. სააქციო საზოგადოება "კავკასრეესტრის" მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორის ან აქციონერთა გადაწყვეტილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. აქციონერთა კრებაზე ყველა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით. ერთ აქციას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

4.3. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია:

მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტის ა, ბ, გ და ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმების 75%-ზე მეტის, ხოლო მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად დამსწრე ხმების 50%-ზე მეტის თანხმობა;

4.3.1. დაამტკიცოს საზოგადოების წესდება, მასში შესატანი ცვლილებები;

4.3.2. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

4.3.3. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები;

4.3.4. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

4.3.5. მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

V. სამეთვალყურეო საბჭო

5.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისაგან. იგი აირჩევა ოთხი წლის ვადით.

5.2. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

5.3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.4. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ სხდომას ესწრება ორი წევრი მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

5.5. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს სააქციო საზოგადოების დირექტორს და განსაზღვრავს მის კომპეტენციას.

VI. დირექტორი

6.1. საზოგადოების დირექტორის ფუნქციებში შედის:

6.1.1. საზოგადოების დირექციის შტატის ჩამოყალიბება და მის მუშაკთა თანამდებობრივი კომპეტენციის განსაზღვრა.

6.1.2. საზოგადოების საქმიანობის ოპერატიული მართვა.

6.1.3. საზოგადოების წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება, მათ შორის საზოგადოების სახელით მისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების ხელმოწერა და ა.შ.

6.1.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის სამეურნეო საქმიანობის შესახებ სისტემატური ანგარიშის ჩაბარება.

6.2. დირექციის სხვა თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების დირექტორი.

ქრისტე ვარკიშვილი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორიათას თოთხმეტი წლის ხუთ სექტემბერს, მე-ციური ბერიძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი № 68-ში, მომმართა:

ბატონმა მერაბ პარღიაშვილმა (დაბ. 1959 წლის 01.09, პირადი № 01006006829, რეგისტრირებული თბილისი დიდმის მას. V კვ. კორ. 23 ბ. 19), როგორც ს.ს "კავკასრეესტრი"-ის (ს.კ 211369115) დირექტორმა;

მისი სურვილია ს.ს "კავკასრეესტრი"-ის (ს.კ 211369115) წესდების ახალი რედაქციის დამოწმება სანოტარო წესით.

შევამოწმე პირადობა წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობებით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს.

ბატონი მერაბ პარღიაშვილის უფლებამოსილება დადგენილია ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო /არაკომერციული/ იურიდიულ პირთა რეესტრიდან ს.ს "კავკასრეესტრი"-ის შესახებ, მომზადების თარიღი 2012 წლის 03.02 რეგისტრაციის ნომერი B12015433

წესდების ცვლილების 2 (ორ) ეგზემპლიარს დირექტორმა ხელი მოაწერა ჩემი-ნოტარიუსის თანდასწრებით.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდებიანების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. №507 დადგენილების 19.1 - მუხლის საფუძველზე - 25.00 ლარი, მუხლი 39-ის საფუძველზე-2 ლარი-ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის და დღგ-4.50 ლარი, საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად. სულ-31.50 ლარი

ნოტარიუსი-

ციური ბერიძე

წიგნთაძიგნი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N141068540



სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი

30.09.2014 წ

სანოტარო მოქმედების დასახელება

დოკუმენტის ასლის დამოწმება

ნოტარიუსი

ციური ბენიძე

სანოტარო ბიუროს მისამართი

თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N 68.

სანოტარო ბიუროს ტელეფონი

2-23-08-90.

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18



სააქციო საზოგადოების „კავკასრეესტრის“

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებები

1.1 „კავკასრეესტრი“ არის სააქციო საზოგადოება. მისი სრული სახელწოდებაა:

ქართულად - სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი“;

ინგლისურად - Joint Stock Company „Caucasian Register“.

1.2. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრი“ (შემდგომში „კავკასრეესტრი“) წარმოადგენს იურიდიულ პირს. საწესდებო ამოცანების შესასრულებლად მას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.

1.3. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“ საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეესტრის წარმოება.

1.4. „კავკასრეესტრის“ სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

1.5. თავის საქმიანობაში „კავკასრეესტრი“ ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით.

1.6. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“ ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11

II. საზოგადოების ფუნქციები და საქმიანობა

2.1. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“ ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

2.1.1. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ან/და ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ემიტენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში;

2.1.2 ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება, ფასიანი ქაღალდების ბრუნვის დროს რეესტრში ახალ მფლობელთა შესახებ შესაბამისი ჩანაწერების შექმნა და მათ ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების გადაცემა;

2.1.3. ანგარიშის მფლობელთა ანგარიშიდან ამონაწერის ან/და ანგარიშზე ბრუნვის უწყისის მომზადება და გაცემა;

2.1.4. ემიტენტის მიერ განხორციელებული კორპორაციული ქმედებების ასახვა რეესტრში შესაბამისი ოპერაციების (გლობალური ოპერაციები - აქციების დანაწევრება, კონსოლიდაცია, რეორგანიზაცია და სხვ., ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისია) განხორციელების გზით, მათ შესახებ ოქმისა და ამონაწერების მომზადება ემიტენტის მოთხოვნით;

2.1.5. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სიის შედგენა სააღრიცხვო თარიღებისთვის და ემიტენტისთვის მიწოდება;

2.1.6. ემიტენტის მოთხოვნით (დავალებით) ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის შეტყობინების მომზადება ან/და დაგზავნა საერთო კრების და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ ან/და დადგენილ ბეჭდვით ორგანოში შეტყობინების გამოქვეყნება, აგრეთვე საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და დღის წესრიგის საკითხებზე ხმის მიცემის ორგანიზება;

2.1.7. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ან ანგარიშის მფლობელთა პიროვნული ანგარიშების ბლოკირება და/ან ბლოკირების მოხსნა;

2.1.8. რეესტრში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;

2.1.9. რეესტრში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მხოლოდ კანონმდებლობის დადგენილი სუბიექტებისთვის;

2.1.10. ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის დელეგირებული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება;

2.1.11. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან და მათ აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ლიცენზიითა და ემიტენტებთან დადებული ხელშეკრულებებით.

2.2. „კავკასრეესტრი“ ვალდებულია თავისი წესები შეიმუშავოს კანონმდებლობისა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს წესების შესაბამისად.

III. საწესდებო კაპიტალი და აქციები

3.1. სს „კავკასრეესტრის“ განთავსებული კაპიტალი შეადგენს 105 000 (ას ხუთი ათასი) ლარს. იგი დაყოფილია 7 (შვიდი) ლარის ნომინალური ღირებულების თხუთმეტი ათას ცალ აქციად.

3.2. სს „კავკასრეესტრის“ აქციების ფლობის უფლება და ერთი პირის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3.3. საზოგადოების აქციათა გადაცემა დამოკიდებულია საზოგადოების თანხმობაზე. ამასთან, საზოგადოება ვალდებულია განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე, თუ ამით მის არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. თანხმობას იძლევა დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

3.4. აქციონერთა უფლებებში შედის:

3.4.1. მიიღონ მონაწილეობა სააქციო საზოგადოების მართვაში აქციონერთა კრებაზე მათი ხმების შესაბამისად.

3.4.2. გაეცნონ საზოგადოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს.

3.5. სს „კავკასრეესტრის“ შემოსავლები იქმნება:

3.5.1. სააბონენტო, საკომისიო და სხვა შენატანებისგან და გადასახდელებისაგან;

3.5.2. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

3.6. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი გადადის სააქციო საზოგადოების სრულ განკარგულებაში.

IV. აქციონერთა საერთო კრება

4.1. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“ მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე კრება მოიწვევა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორის ან აქციონერთა გადაწყვეტილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. აქციონერთა კრებაზე ყველა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით. ერთ აქციას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

4.3. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები წესდებით და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან წინამდებარე წესდების 4.3.1; 4.3.2; 4.3.3 და 4.3.5; ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 75% -ზე მეტის თანხმობა, ხოლო ყველა სხვა გადაწყვეტილება მიიღება კანონის შესაბამისად

4.3.1. დაამტკიცოს საზოგადოების წესდება, მასში შესატანი ცვლილებები;

4.3.2. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

4.3.3. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;

4.3.4. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

4.3.5. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);

4.3.6. მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“-„ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო.

V. სამეთვალყურეო საბჭო

5.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისაგან. იგი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით.

5.2. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

5.3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.4 სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება ორი წევრი მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

5.5. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს სააქციო საზოგადოების დირექტორს და განსაზღვრავს მის კომპეტენციას.

VI. დირექტორი

6.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და მესამე პირებთან წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელიც ინიშნება მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი ვადით. იგი შეუზღუდავად წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. საზოგადოების დირექტორის ფუნქციებში შედის:

6.1.1. საზოგადოების შტატის ჩამოყალიბება და მის მუშაკთა თანამდებობრივი კომპეტენციის განსაზღვრა.

6.1.2. საზოგადოების საქმიანობის ოპერატიული მართვა.

6.1.3. საზოგადოების წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება, მათ შორის საზოგადოების სახელით მისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების ხელმოწერა და ა.შ.

6.1.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის სამეურნეო საქმიანობის შესახებ სისტემატური ანგარიშის ჩაბარება.

6.2. თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების დირექტორი.

სააქციო საზოგადოების „კავკასიურეესტრის“

წ ე ს დ ე ბ ა

I. ზოგადი დებულებები

1.1 „კავკასიურეესტრი“ არის სააქციო საზოგადოება. მისი სრული სახელწოდებაა:

ქართულად - სააქციო საზოგადოება „კავკასიურეესტრი“;

ინგლისურად - Joint Stock Company „Caucasian Register“.

1.2. სააქციო საზოგადოება „კავკასიურეესტრი“ (შემდგომში „კავკასიურეესტრი“) წარმოადგენს იურიდიულ პირს. საწესდებო ამოცანების შესასრულებლად მას უფლება აქვს დადოს გარიგებანი, შეიძინოს ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები, იკისროს ვალდებულებები, იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში. მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ანგარიშსწორების და სხვა ანგარიშები საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, ბლანკი და ემბლემა.

1.3. სააქციო საზოგადოება „კავკასიურეესტრის“ საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს რეესტრის წარმოება.

1.4. „კავკასიურეესტრის“ სამეურნეო წელი ემთხვევა კალენდარულ წელს.

1.5. თავის საქმიანობაში „კავკასიურეესტრი“ ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით.

1.6. სააქციო საზოგადოება „კავკასიურეესტრის“ ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაფშვილის ქუჩა #11

სააქციო საზოგადოება „კავკასიურეესტრის“ ადგილსამყოფელია: ქ. თბილისი, 0162, მოსაფშვილის ქ. № 11.

Formatted: Georgian

II. საზოგადოების ფუნქციები და საქმიანობა

2.1. სააქციო საზოგადოება „კავკასიურეესტრის“ ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს:

2.1.1. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ფორმირება პირველადი დოკუმენტების საფუძველზე ან/და ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოება კანონმდებლობით დადგენილი წესით და ემიტენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში;

2.1.2. ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმება, ფასიანი ქაღალდების ბრუნვის დროს რეესტრში ახალ მფლობელთა შესახებ შესაბამისი ჩანაწერების შექმნა და მათ ანგარიშებზე ფასიანი ქაღალდების გადაცემა;

2.1.3. ანგარიშის მფლობელთა ანგარიშიდან ამონაწერის ან/და ანგარიშზე ბრუნვის უწყისის მომზადება და გაცემა;

2.1.4. ემიტენტის მიერ განხორციელებული კორპორაციული ქმედებების ასახვა რეესტრში შესაბამისი ოპერაციების (გლობალური ოპერაციები - აქციების დანაწევრება, კონსოლიდაცია, რეორგანიზაცია და სხვ., ფასიანი ქაღალდების დამატებითი ემისია) განხორციელების გზით, მათ შესახებ ოქმისა და ამონაწერების მომზადება ემიტენტის მოთხოვნით;

2.1.5. ფასიანი ქაღალდების მფლობელთა სიის შედგენა სააღრიცხვო თარიღებისთვის და ემიტენტისთვის მიწოდება;

2.1.6. ემიტენტის მოთხოვნით (დავალებით) ფასიანი ქაღალდების მფლობელთათვის შეტყობინების მომზადება ან/და დაგზავნა საერთო კრების და სხვა მნიშვნელოვანი თარიღების შესახებ ან/და დადგენილ ბეჭდვით ორგანოში შეტყობინების გამოქვეყნება, აგრეთვე საერთო კრების მოწვევის, ჩატარების და დღის წესრიგის საკითხებზე ხმის მიცემის ორგანიზება;

2.1.7. ფასიანი ქაღალდების რეესტრის ან ანგარიშის მფლობელთა პიროვნული ანგარიშების ბლოკირება და/ან ბლოკირების მოხსნა;

2.1.8. რეესტრში არსებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა;

2.1.9. რეესტრში არსებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მხოლოდ კანონმდებლობის დადგენილი სუბიექტებისთვის;

2.1.10. ადმინისტრაციული ხელშეკრულების საფუძველზე მისთვის დელეგირებული საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება;

2.1.11. ფასიანი ქაღალდების მიმოქცევასთან და მათ აღრიცხვასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები, რომლებიც განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შესაბამისი ლიცენზიითა და ემიტენტებთან დადებული ხელშეკრულებებით.

2.2. „კავკასიურეესტრი“ ვალდებულია თავისი წესები შეიმუშავოს კანონმდებლობისა და საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო ორგანოს წესების შესაბამისად.

III. საწესდებო კაპიტალი და აქციები

3.1. სს „კავკასრეესტრის“ ~~განთავსებული საწესდებო~~ კაპიტალი შეადგენს 105 5000 (~~ასახუფმეტი ხუთი ათასიასი~~) ლარს. იგი დაყოფილია 7 (~~შვიდი~~)~~ჯგერა~~ ლარის ნომინალური ღირებულების თხუთმეტი ათას ცალ აქციად.

3.2. სს „კავკასრეესტრის“ აქციების ფლობის უფლება და ერთი პირის საკუთრებაში არსებული აქციების რაოდენობის დასაშვები მაქსიმალური ზღვარი განისაზღვრება „ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3.3. საზოგადოების აქციათა გადაცემა დამოკიდებულია საზოგადოების თანხმობაზე. ამასთან, საზოგადოება ვალდებულია განაცხადოს თანხმობა აქციათა გადაცემაზე, თუ ამით მის არსებით ინტერესებს საფრთხე არ ემუქრება. თანხმობას იძლევა დირექტორი სამეთვალყურეო საბჭოს ნებართვით.

3.4. აქციონერთა უფლებებში შედის:

3.4.1. მიიღონ მონაწილეობა სააქციო საზოგადოების მართვაში აქციონერთა კრებაზე მათი ხმების შესაბამისად.

3.4.2. გაეცნონ საზოგადოების სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის შედეგებს.

3.5. სს „კავკასრეესტრის“ შემოსავლები იქმნება:

3.5.1. სააბონენტო, საკომისიო და სხვა შენატანებისგან და გადასახდელებისაგან;

3.5.2. საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროებიდან.

3.6. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვის შემდეგ დარჩენილი შემოსავალი გადადის სააქციო საზოგადოების სრულ განკარგულებაში.

IV. აქციონერთა საერთო კრება

4.1. სააქციო საზოგადოება „კავკასრეესტრის“ მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს აქციონერთა საერთო კრება, რომელიც ტარდება წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე ~~სხდომაკრება~~ მოიწვევა მხოლოდ სამეთვალყურეო საბჭოს, დირექტორის ან აქციონერთა გადაწყვეტილებით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4.2. აქციონერთა კრებაზე ყველა გადაწყვეტილება მიიღება კენჭისყრით. ერთ აქციას გააჩნია ერთი ხმის უფლება.

4.3. აქციონერთა საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებები წესდებით და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან წინამდებარე წესდების 4.3.1; 4.3.2; 4.3.3 და 4.3.5; ქვეპუნქტებით გათვალისწინებული

Commented [t1]: კანონის 156.1 მუხლის მოთხოვნა. ასევე იმისათვის რომ არ შეცვლილიყო აქციათა რაოდენობა განთავსებული კაპიტალი განისაზღვრა 105 000 ლარით. გაიზრდება მხოლოდ ნომინალური ღირებულება და იქნება 1 ლარის ნაცვლად 7 ლარი.

გასათვალისწინებელია 164-ე მუხლის მოთხოვნები, 25 % ის განადგებასთან და ა.შ. გათვალისწინებით

Commented [t2]: იგივე შინაარსია გადმოსული უბრალოდ გაქრა ძველ კანონზე მითითება რადგან უთითებდა უკვე გაუქმებულ კანონზე. კერძოდ კი ძველი კანონის 54-ე მუხლზე

გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა ხმების 75% -ზე მეტის თანხმობა, ხოლო ყველა სხვა გადაწყვეტილება მიიღება კანონის შესაბამისად

4.3.1. დამტკიცოს საზოგადოების წესდება, მასში შესატანი ცვლილებები;

4.3.2. მიიღოს გადაწყვეტილება საზოგადოების რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ;

4.3.3. აირჩიოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ან გამოიწვიოს ისინი სამეთვალყურეო საბჭოდან;

4.3.4. გადაწყვიტოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა შრომის ანაზღაურების საკითხი;

4.3.5. მთლიანად ან ნაწილობრივ გააუქმოს აქციონერის მიერ ფასიანი ქაღალდების უპირატესი შესყიდვის უფლება (ფასიანი ქაღალდების გამოშვების გზით კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში);

4.3.6. —მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 184-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“-ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ საკითხებზე გადაწყვეტილებას იღებს სამეთვალყურეო საბჭო.

~~„მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 54 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის ამჟამად მოქმედი რედაქციის 54 მუხლის მე-6 პუნქტის ა, ბ, გ და ვ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრე ხმების 75% -ზე მეტის, ხოლო მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სხვა გადაწყვეტილების მისაღებად დამსწრე ხმების 50% -ზე მეტის თანხმობა;~~

~~4.3.5. მიიღოს გადაწყვეტილებები „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.~~

V. სამეთვალყურეო საბჭო

5.1. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭო შედგება 3 წევრისაგან. იგი აირჩევა 3 (სამი) წლის ვადით.

Commented [13]: ახალი კანონი მუხლი 212.5

5.2. სამეთვალყურეო საბჭო თავის შემადგენლობიდან ირჩევს თავმჯდომარეს და მის მოადგილეს.

5.3. სამეთვალყურეო საბჭოს სხდომები ტარდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

5.4. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილება უნარიანია, თუ სხდომას ესწრება ორი წევრი მაინც. სამეთვალყურეო საბჭოს ყველა სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

5.5. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს სააქციო საზოგადოების დირექტორს და განსაზღვრავს მის კომპეტენციას.

VI. დირექტორი

6.1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და მესამე პირებთან წარმომადგენლობის უფლება ენიჭება დირექტორს, რომელიც ინიშნება მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი ვადით. იგი შეუზღუდავად წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. საზოგადოების დირექტორის ფუნქციებში შედის:

6.1.1. საზოგადოების ~~დირექციის~~ შტატის ჩამოყალიბება და მის მუშაკთა თანამდებობრივი კომპეტენციის განსაზღვრა.

Formatted: Georgian, Not Highlight

6.1.2. საზოგადოების საქმიანობის ოპერატიული მართვა.

6.1.3. საზოგადოების წარმომადგენლობითი ფუნქციების განხორციელება, მათ შორის საზოგადოების სახელით მისი კომპეტენციის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღება, მოლაპარაკებების წარმოება, ხელშეკრულებებისა და სხვა დოკუმენტების ხელმოწერა და ა.შ.

6.1.4. საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოსთვის სამეურნეო საქმიანობის შესახებ სისტემატური ანგარიშის ჩაბარება.

6.2. ~~დირექციის სხვა~~ თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავს სააქციო საზოგადოების დირექტორი.

Formatted: Georgian, Not Highlight

Formatted: Georgian

**სს “კავკასრექსტრი”
საინფორმაციო ბარათი აქციონერებისათვის
საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემების
“მეწარმეთა შესახებ” კანონთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით**

ზოგადი ინფორმაცია

“მეწარმეთა შესახებ” საქართველოს ახალი კანონი ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვრიდან. ცვლილებები ძირითადად მომდინარეობს ევროდირექტივის¹ მოთხოვნებიდან, ვინაიდან საქართველომ 2014 წელს² აიღო ვალდებულება მოიყვანოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიაში შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა. “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის ცვლილება სწორედ სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების ნაწილია.

კანონის 254-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად:

“ ამ კანონის ამოქმედებამდე რეგისტრირებული საწარმო ვალდებულია ამ კანონის ამოქმედებიდან 2 წლის ვადაში უზრუნველყოს სარეგისტრაციო მონაცემების ამ კანონის მოთხოვნებთან შესაბამისობა. ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში შესაბამისი სამეწარმეო საზოგადოებისა და სამეწარმეო საზოგადოების ფილიალის რეგისტრაცია გაუქმებულად მიიჩნევა. “

ამდენად ნათელია, რომ აღნიშნული ვალდებულების დარღვევა გამოიწვევს საწარმოს რეგისტრაციის გაუქმებას, ხოლო შემდეგში კი მის ლიკვიდაციას და საწარმოს არსებობის შეწყვეტას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უდავოა, რომ კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და აუცილებელია.

ხელმძღვანელი ორგანოს ვალდებულება

კანონის 52-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად:

“ ხელმძღვანელი პირი ვალდებულია სამეწარმეო საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერი ხელმძღვანელის გულისხმიერებით, კერძოდ, მასზე ისე ზრუნავდეს, როგორც ანალოგიურ პირობებში უნდა

¹ <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/ALL/?uri=celex%3A32017L1132>

² ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის იხ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

ეზრუნა/ემოქმედა ჩვეულებრივ, საღად მოაზროვნე პირს, იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება სამეწარმეო საზოგადოებისთვის ეკონომიკურად ყველაზე ხელსაყრელია.” ხელმძღვანელი პირი უნდა მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის. ცხადია, რომ ხელმძღვანელი პირის უპირველეს ვალდებულებას სწორედ ის წარმოადგენს, რომ არ დააყენოს საწარმო არარსებობის ეგზისტენციალური საფრთხის წინაშე. შესაბამისად, ხელმძღვანელი ორგანოს მიერ მომზადებულია სარეგისტრაციო მონაცემები და ყველა საჭირო დოკუმენტაცია ახალ კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად, რომლებიც წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერთა კრებას.

წარმოდგენილი შესწორებების მიზანს წარმოადგენს მოქმედი წესდების კანონთან შესაბამისობასი მოყვანა და ახალი მოთხოვნების გათვალისწინება, იმ პირობით რომ უცვლელად იქნება გადმოტანილი აქციონერთა და მმართველი ორგანების ის უფლებები რაც მოქმედ წესდებაშია. აღსანიშნავია, რომ მოქმედი წესდება და მისი ბოლო რედაქცია მთლიანად ეფუძნება ბოლო რედაქციის მიღების მომენტისთვის მოქმედი მეწარმეთა შესახებ კანონით გაწერილ აქციონერთა კრების და მმართველი ორგანოების უფლებებს.

შესწორებები არსებულ წესდებაში და მათი დასაბუთება

ზოგადი ინფორმაცია

როგორც ცნობილია საწარმოს აქვს 2012 წლის 3 აგვისტოს დამტკიცებული წესდება, რომელიც მოქმედი. აუცილებელია წესდებაში იმ მინიმალური შესწორებების შეტანა რაც ახალი კანონის იმპერატიული მოთხოვნებიდან მომდინარეობს და რაც აუცილებელია კომპანიის მონაცემების კანონის შესაბამისად რეგისტრაციის მიზნებისათვის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელი ორგანოს მიერ წარმოდგენილი წესდება ფაქტობრივად მოქმედი წესდების ინდენტურია და მასში განხორციელებულია მინიმალური ცვლილებები კანონის იმპერატიულ მოთხოვნათა გათვალისწინებით.

შესწორებები წესდებაში

წესდების 1.6 პუნქტში დაზუსტდა საზოგადოების მისამართი, რადგან არსებულ რედაქციაში არსრულად იყო მითითებული. შენობას რომელშიც განათავსებულია სს „კავკასრეესტრი“ 2001 წლიდან რამოდენიმეჯერ შეეცვალა მისამართი და ამჟამად მისი ოფიციალური მისამართია ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსემვილის ქუჩა #11.

1. წესდების 3.1. პუნქტში განხორციელდა ცვლილება კანონის 156.1 მუხლის იმპერატიული მოთხოვნიდან გამომდინარე, რომ სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 000 ლარს ასევე იმისათვის, რომ არ შეცვლილიყო აქციათა რაოდენობა . განთავსებული კაპიტალი განისაზღვრა 105 000 ლარით. წესდებით ახალი ვერსიით შემოთავაზებულია, რომ გაიზარდოს მხოლოდ ნომინალური ღირებულება და ნაცვლად 1 ლარისა განისაზღვროს 7 ლარით.
2. წესდების 4.3. პუნქტში განხორციელდა ცვლილება, რადგან წესდების აღნიშნული მუხლი უთითებდა გაუქმებული კანონის 54-ე მუხლზე. ცხადია გაუქმებულ კანონზე მითითებით მარეგისტრირებელი ორგანო არ დაარეგისტრირებს წესდებას და დაადგენს ხარვეზს. ამასთან თავად ამ მუხლის შინაარსი უცვლელი დარჩა, რაც ასევე შესაბამისობაშია ახალი კანონის მოთხოვნებთან.

მოქმედი წესდებით, ასევე მისი მიღების მომენტისთვის მოქმედი მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმება აქციონერთა კრების კომპეტენციაა და საჭიროებს ხმათა 3/4-ს. აქედან გამომდინარე 4.3 პუნქტზე მოხდა ერთადერთი დამატება (4.3.5 ქვეპუნქტი), რომელიც ეხება აქციონერთა უმნიშვნელოვანესი უფლების - უპირატესი შესყიდვის უფლების გაუქმებას. შესაბამისად მოხდა არსებული 4.3.5 ქვეპუნქტის გადანომვრა 4.3.6 ქვეპუნქტად.

მოქმედი წესდების 4.3 პუნქტით გაწერილია ის უფლებები რომელიც აქციონერთა კრებას გააჩნია. აღსანიშნავია, რომ მოქმედი წესდება მთლიანად ეფუძნება ბოლო რედაქციის მიღების მომენტისთვის მოქმედი მეწარმეთა შესახებ კანონით გაწერილ აქციონერთა კრების უფლებებს. 4.3 პუნქტის დასაწყისში განსაზღვრულია კონკრეტული გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ხმების რაოდენობა და მასში მითითებულია მეწარმეთა შესახებ ძველი კანონის 54-ე მუხლის მე-6 პუნქტი მთლიანად და მისი რამოდენიმე ქვეპუნქტი, რომელთაც ესაჭიროება გადაწყვეტილების მისაღებად ხმების 3/4, ვინაიდან ახალ კანონში 54-ე მუხლი სულ სხვა საკითხს ეხება და არც მე-6 პუნქტი გააჩნია და არც ა,ბ,გ და ვ ქვეპუნქტები ამიტომ 54-ე მუხლის მე-6 პუნქტი და ჩამოთვლილი მისი ქვეპუნქტები ამოღებულ იქნა და შინაარსის შენარჩუნების მიზნით მის ნაცვლად ჩაიწერა 4.3. პუნქტის ქვეპუნქტები რომლებიც შინაარსობრივად შეესაბამება მოქმედ წესდებას.

3. წესდების 5.1. პუნქტში განხორციელდა შესწორება, ახალი კანონის 212-ე მუხლის 1-ლი და მე-5 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით. შესაბამისად სამეთვალყურეო საბჭოს წევრების პოზიციაზე ყოფნის ვადად განისაზღვრა 3 წელი.
4. წესდების 6.1. პუნქტში განხორციელდა ცვლილება და მიეთითა, რომ საზოგადოების ხელმძღვანელობისა და მესამე პირებთან წარმომადგენლობის

უფლება ენიჭება დირექტორს, რომელიც ინიშნება მეწარმეთა შესახებ კანონით დადგენილი ვადით. იგი შეუზღუდავად წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში. კანონის იმპერატიული მოთხოვნაა, რომ ნათლად აისახოს დირექტორის უფლებამოსილების შესახებ წესდებას და სადამფუძნებლო შეთანხმებაში, სწორედ აღნიშნული მოთხოვნა იქნა გათვალისწინებული და წესდებაში აისახა ის რეალური ფაქტობრივი და არსებული მდგომარეობა რაც დღეს არის სახეზე, კერძოდ ის რომ დირექტორი დამოუკიდებლად წარმოადგენს საწარმოს მესამე პირებთან ურთიერთობაში.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ წესდება ფაქტობრივად შენარჩუნებულია იმავე შინაარსით რაც მოქმედია დღემდე. მასში განხორციელებულია მხოლოდ ის სავალდებულო ცვლილებები, რაც ახალი კანონის მოთხოვნაა და რომელთა გაუთვალისწინებლობაც რეგისტრაციის შესაძლებლობას გამორიცხავს. რეგისტრაციის სავალდებულობაზე და მისი განუხორციელებლობის შედეგებზე ზემოთ დეტალურადაა მითითებული, კერძოდ კი ის, რომ ახალი კანონის შესაბამისად რეგისტრაციის განუხორციელებლობა გამოიწვევს კომპანიის რეგისტრაციის გაუქმებას და მის ლიკვიდაციას.

წესდების პროექტი იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ კომპანიის სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოყვანაზე უარის თქმის ობიექტური საფუძვლები არ არსებობს.

პატივისცემით,

დირექტორი:

მერაბ ვარდიაშვილი



09.11.2023

სადამფუძნებლო შეთანხმება

(სააქციო საზოგადოების სარეგისტრაციო მონაცემები/სარეგისტრაციო განაცხადი)

* - სიმბოლოთი აღნიშნული ველების შევსება სავალდებულოა

სამართლებრივი ფორმა --- სააქციო საზოგადოება

*საფირმო სახელწოდება”კავკასრესტრი”.....

უნდა განისაზღვროს ქართულ ენაზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წესით

* საფირმო სახელწოდება ინგლისურ ენაზე

„Caucasian Register”

უნდა შეესაბამებოდეს ქართულ ენაზე განსაზღვრულ სახელწოდებას

- * იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11

საზოგადოების ფიზიკური (ფაქტობრივი) მისამართი

ხელმძღვანელი ორგანოდირექტორი

ხელმძღვანელი ორგანოს დასახელება (მაგ. დირექტორი, დირექტორატი, დირექტორთა საბჭო, პრეზიდიუმი და სხვა)

*ხელმძღვანელი ორგანოს წევრი/წევრები

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა (თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია).

1. მერაბ ვარდიაშვილი 01006006829თბილისი, დიდმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 23, ბინა 19.

*ხელმძღვანელი ორგანოს წევრების წარმომადგენლობითი უფლებამოსილების ფარგლები

უნდა მიეთითოს წევრები ერთობლივად (ერთად) წარმომადგენენ საზოგადოებას, თუ ერთპიროვნულად (ცალ-ცალკე). თუ ხელმძღვანელი ორგანოს წევრებს აქვთ განსხვავებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, უნდა მიეთითოს თითოეული წევრის უფლებამოსილება.

დირექტორი საზოგადოებას წარმოადგენს დამოუკიდებლად და ერთპიროვნულად.

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი

ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირი

რამდენიმე ხელმძღვანელი/წარმომადგენელი პირის არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს მხოლოდ ერთი პირი

1. დირექტორი: მერაბ ვარდიაშვილი 01006006829თბილისი, დიდმის მასივი, V კვარტალი, კორპუსი 23, ბინა 19.

* სუბიექტის ავტორიზებული მომხმარებლის გვერდის (ელექტრონულ მისამართის) მართვაზე პასუხისმგებელი

ხელმძღვანელობაზე და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების მქონე პირის ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი

mvardiashvili@kavkasreestri.ge

(ელექტრონული ფოსტის მისამართი, განსაზღვრული უნდა იყოს ლათინული შრიფტით)

+995 599 - 552 - 495

(საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორის მობილური ტელეფონის ნომერი)

სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში უნდა მიეთითოს სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა და საბჭოს წევრები

სამეთვალყურეოს საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან
(რაოდენობა)

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები

ფიზიკური პირის შემთხვევაში სახელი, გვარი, პირადი ნომერი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, იურიდიული პირის შემთხვევაში სახელწოდება, საიდენტიფიკაციო ნომერი; უფლებამოსილების ვადა, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია.

- ვახტანგ სვანაძე 01024009385 თბილისი, სიმონ კანდელაკის ქუჩა, N 8ბ, ბინა 13 (თავმჯდომარე)
- მერაბ მემარნიშვილი 01026007775 თბილისი, ვიქტორ დოლიძის ქუჩა, კორპუსი 8, ბინა 21
- გიორგი ლოლაძე 01017015475 თბილისი, ირაკლი აბაშიძის ქუჩა, N 21, ბინა 6

კაპიტალი

***განთავსებული კაპიტალი შეადგენს105 000..(ას ხუთი ათასი)..... ლარს**

(განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, რომელიც უნდა იყოს სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული აქციების ნომინალური ღირებულებათა ჯამის ტოლი. სააქციო საზოგადოების განთავსებული კაპიტალის მინიმალური ოდენობა სააქციო საზოგადოების რეგისტრაციის მომენტისთვის უნდა შეადგენდეს სულ მცირე 100 000 ლარს.)

***განადღებული კაპიტალი შეადგენს.....105 000..(ას ხუთი ათასი)..... ლარს**

(სააქციო საზოგადოების დაფუძნების მომენტისთვის განთავსებული კაპიტალის განადღებული ნაწილის ოდენობა, ანუ განთავსებული კაპიტალის ფაქტობრივად შევსებული ნაწილი. განადღებული კაპიტალი ფულადი სახით უნდა იყოს შევსებული და იგი უნდა შეადგენდეს განთავსებული კაპიტალის სულ მცირე 25%-ს)

დანართი:

დამფუძნებლების/პარტნიორების მიერ შემუშავებული სამეწარმეო საზოგადოების წესდება, რომელიც წარმოადგენს სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილს.

- დირექტორი, მერაბ ვარდიაშვილი

.....
პარტნიორი/ხელმძღვანელობაზე წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

.....
ხელმოწერა

თარიღი: -----

**სს “კავკასრეესტრი”
აქციონერთა გადაწყვეტილება (პროექტი)**

ქ.თბილისი

30.11.2023

სს “კავკასრეესტრის” აქციონერთა კრება გაიმართა 2023 წლის 30 ნოემბერს, 12:00 საათზე, კომპანიის მისამართზე ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #74/ილო მოსაშვილის ქუჩა #11

დღის წესრიგი

1. სს “კავკასრეესტრის” წესდებისა და სარეგისტრაციო მონაცემების დამტკიცება, საწარმოს რეგისტრაციის მონაცემების ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით;
2. განთავსებული კაპიტალის და აქციის ნომინალური ღირებულების ცვლილება;
3. 2022 წლის აუდიტებული ანგარიშის დამტკიცება;

გადაწყვეტილების პროექტი

1. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით:

„დამტკიცდეს წესდება წარმოდგენილი რედაქციით (იხ.დანართი), მოყვანილ იქნეს საწარმოს სარეგისტრაციო მონაცემები შესაბამისობაში “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონთან და აისახოს სადამფუძნებლო შეთანხმებაში.

წესდების და სადამფუძნებლო შეთანხმების რეესტრში წარდგენისა და სადამფუძნებლო შეთანხმებაზე ხელის მოწერის უფლება მიენიჭოს დირექტორს მერაბ ვარდიაშვილს.

დაევალოს მერაბ ვარდიაშვილს წარადგინოს სარეგისტრაციო დოკუმენტები საჯარო რეესტრში, სარეგისტრაციო მონაცემების კანონთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

აქციონერთა კრების ოქმს და თანდართულ წესდებას, კანონის შესაბამისად, ხელს აწერს კრების თავმჯდომარე და ამავდროულად სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვახტანგ სვანაძე.“

2. აქციონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით:

განთავსებული კაპიტალი გაიზარდოს 105 000 (ასხუთი ათასი) ლარამდე გაუნაწილებელი მოგების ხარჯზე. გამოშვებული და განთავსებული აქციების რაოდენობა დარჩეს უცვლელი 15000 (თხუთმეტი ათასი) ცალი აქცია. ერთი აქციის ნომინალური ღირებულება 1(ერთი) ლარი შეიცვალოს 7 (შვიდი)ლარით.

3. აქცნონერთა კრების გადაწყვეტილება დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით:

„დამტკიცდეს 2022 წლის აუდირებული ანგარიში.“

კრების თავმჯდომარე

30.11.2023

სს "კავკასრეესტრი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შინაარსი

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	1
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	
1 ზოგადი ინფორმაცია	8
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა	8
3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები	16
4 ფული და ფულის ეკვივალენტები	17
5 დებიტორული დავალიანება	17
6 დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	18
7 არამატერიალური აქტივები	18
8 ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	18
9 გადასახდელი ხელფასის ანარიცხი	19
10 საკუთარი კაპიტალი	19
11 მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	19
12 ხელფასის ხარჯი	20
13 ოფისის იჯარის ხარჯი	20
14 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	20
15 ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში	20
16 სხვა ხარჯები	21
17 ფინანსური შემოსავალი	21
18 შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე	21
19 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები	21
20 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ	22
21 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	26
22 საწარმოს უწყვეტობის განხილვა	27
23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	27

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია სს "კავკასრესტრის" ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებას საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების დაშვების საფუძველზე, თუკი რეალური მდგომარეობა შეუსაბამოს არ ხდის ამ დაშვებას.

მენეჯმენტი, აგრეთვე, პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტიანი სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონიერულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რათა დაიცვას კომპანიის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა დარღვევები.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ:

მერაბ ვარდიაშვილი

დირექტორი

სს "კავკასრესტრი"

თარიღი: 20 აპრილი, 2023



დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა სს "კავკასიურესტრი"

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს "კავკასიურესტრის" (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს წლისათვის, რომელიც დასრულდა ზემოთ აღნიშნული თარიღით, აგრეთვე, მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით და შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს (ფასს).

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსისა (IESBA კოდექსი) და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომელიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებით და IESBA ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვეჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი მოსაზრებისთვის.

მენეჯმენტისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მენეჯმენტი პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსაზრებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტს ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მენეჯმენტს განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოექცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობას, მათ შორის გამოწვეულს თაღლითობით ან შეცდომით და გავცეთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებულ ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა თუკი გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი ცალკე ან ერთობლივად, გავლენას იქონიებს მომხმარებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოყენების საფუძველზე მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტის პროცესში აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას. გარდა ამისა, ჩვენ:

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე (გაგრძელება)

* ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

* შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

* ვაფასებთ მენეჯმენტის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამის ახსნა-განმარტებების მართებულობას.

* დასკვნა გამოგვაქვს მენეჯმენტის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე; ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთა არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

* ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას, მის შინაარსს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს. ამასთან, ვაფასებთ, ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციები და მოვლენები უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვასთან ერთად, ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის დაგეგმილი მასშტაბის, ვადებისა და ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

მიზეილ აბაიაძე / სერტიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი
ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544
აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 20 აპრილი, 2023
თბილისი, საქართველო



სს "კავკასრეესტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31-დეკ-22	31-დეკ-21
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	98,805	87,515
დებიტორული დაუფლიანება	5	19,880	20,917
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	6	2,383	190,564
სულ მიმდინარე აქტივები		121,068	298,996
ძირითადი საშუალებები		-	315
არამატერიალური აქტივები	7	5,030	6,340
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	6	163,150	-
ინვესტიცია ფასიან ქალაქებში	8	54,085	54,085
სულ გრძელვადიანი აქტივები		222,265	60,740
სულ აქტივები		343,333	359,736
საეკპრო და სხვა ვალდებულებები		1,722	4,478
გადასახდელი ხელფასის ანარიცხი	9	64,000	54,400
საგადასახადო ვალდებულება		4,435	2,054
სულ მიმდინარე ვალდებულებები		70,157	60,932
სააქციო კაპიტალი	10	14,600	14,600
გაუნაწილებელი მოგება		258,576	284,204
სულ კაპიტალი		273,176	298,804
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		343,333	359,736

მერაბ ვარდიშვილი

დირექტორი

სს "კავკასრეესტრი"

თარიღი: 20 აპრილი, 2023



სს "კავკასრეესტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	11	122,225	105,459
საფონდო ბირჟის მომსახურების ხარჯი		-	(10)
სულ საოპერაციო შემოსავალი		122,225	105,449
დივიდენდიდან შემოსავალი	8	10,619	-
ხელფასის ხარჯი	12	(92,101)	(94,346)
ოფისის იჯარის ხარჯი	13	(20,969)	(23,182)
კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)	14	(35,958)	(15,882)
საკონსულტაციო ხარჯი		(8,600)	(9,343)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(1,625)	(2,168)
ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში	15	2,030	201
სხვა ხარჯები	16	(15,451)	(10,477)
ფინანსური შემოსავალი	17	12,706	15,051
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		1,496	4,058
მიმდინარე წლის წმინდა მოგება/(ზარალი)		(25,628)	(30,639)
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		(25,628)	(30,639)
შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე:			
საბაზისო	18	(1.76)	(2.10)

მერაბ ვარდიაშვილი

დირექტორი

სს "კავკასრეესტრი"

თარიღი: 20 აპრილი, 2023



სს "კავკასრეესტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2022	2021
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები		136,557	142,207
მომწოდებლებისთვის და თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები		(139,935)	(158,388)
მიღებული პროცენტი		24,166	31,036
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		20,788	14,855
წმინდა ზრდა / (კლება) წლის განმავლობაში		20,788	14,855
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში		87,515	77,717
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(9,498)	(5,057)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	98,805	87,515

მერაბ ვარდიაშვილი

დირექტორი

სს "კავკასრეესტრი"

თარიღი: 20 აპრილი, 2023



სს "კავკასიურესტრი"

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარში

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,600	314,843	329,443
წლის მოგება/(ზარალი)	-	(30,639)	(30,639)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,600	284,204	298,804
წლის მოგება/(ზარალი)	-	(25,628)	(25,628)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	14,600	258,576	273,176

მერაბ ვარდიშვილი

დირექტორი

სს "კავკასიურესტრი"

თარიღი: 20 აპრილი, 2023



1 ზოგადი ინფორმაცია

1.1 კომპანია და მისი საქმიანობა

სააქციო საზოგადოება "კავკასიურეესტრი" (შემდგომში "კომპანია") დაფუძნდა 1998 წლის 10 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართი არის: საქართველო, თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №74ა. კომპანია (სახელმწიფო რეგისტრაციის #5ა/5-58) საქმიანობას ეწევა 2000 წლის 26 იანვარს გაცემული #70002 ლიცენზიით. აღნიშნული ლიცენზიის საფუძველზე, კომპანია სააქციო საზოგადოებებს (ემიტენტებს) სთავაზობს სხვადასხვა მომსახურებებს როგორც ოფისში, ასევე უშუალოდ ემიტენტებთან, უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების რეესტრების ფორმირებას, კონსოლიდაციას, საჯარო და არასაჯარო ფასიან ქაღალდებთან დაკავშირებული ოპერაციების (ემისიის განთავსება, ყიდვა-გაყიდვა, ჩუქება, გირავნობა, ბლოკირება და ა.შ.) დარეგისტრირებას. კომპანია ახდენს ფასიანი ქაღალდების რეესტრების დაცულ წარმოებას, მონაცემთა ბაზების დაარსებასა და შენახვას. ასევე, კლიენტის მოთხოვნით, აქციონერთა საერთო კრების მოწვევის ორგანიზებას, კრებაზე დასწრებასა და ხმების დათვლას, კანონმდებლობის გათვალისწინებით, ფასიან ქაღალდებზე სატენდერო შეთავაზებისა და სავალდებულო მიყიდვის პროცედურებში მონაწილეობას.

ძირითადი აქციონერები

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ძირითად აქციონერებს წარმოადგენენ:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	57.86%	57.86%
სს "კავკასუს კაპიტალ ჯგუფი" (ნომ. მფლობელი)	30.82%	30.82%
სს "გალთ ენდ თაგარტი"	5.48%	5.48%
სხვა აქციონერები	5.84%	5.84%
	100.00%	100.00%

2022 წლის ნოემბერში სს "საქართველოს საფონდო ბირჟა" დაკარგა კონტროლი სს "კავკასიურეესტრზე" (2019 წლის 1 აგვისტოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს 2016 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც უკანონოდ გამოცხადდა და ბათილად იქნა ცნობილი დომინანტი აქციონერების მიმართულის საფუძველზე 2015 წლის 1 ოქტომბრის დარეგისტრირებული მმართველი ორგანოს ცვლილება და აღდგენილ იქნა ცვლილებამდე ასრულებული კანონიერი მმართველი.

1.2 საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც ხასიათდება განვითარებადი ბაზრის მახასიათებლებით. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ იურიდიულ პირებს. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის შეფასებას საქართველოს ბიზნეს გარემოს ზეგავლენის შესახებ, კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებისგან.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა

2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს (ბასის) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლების, ფულადი ნაკადებისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებებს და ახსნა-განმარტებითი შენიშვნებს.

შემოსავლები და ხარჯები, სხვა სრული შემოსავლის კომპონენტების გამოკლებით, აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. სხვა სრული შემოსავალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში და მოიცავს შემოსავლების და ხარჯების იმ პუნქტებს (რეკლასიფიცირების კორექტირებების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც ეს დადგენილი ან დაშვებულია ფასს-ის თანახმად. რეკლასიფიცირების კორექტირება არის რაოდენობა, რომელიც მიმდინარე პერიოდში რეკლასიფიცირებულია მოგების ან ზარალის სახით და რომელიც მიმდინარე ან წინა პერიოდებში აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავლებში. კომპანიის მფლობელებთან განხორციელებული ტრანზაქციები აღიარებულია კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)**2.1 ანგარიშგების მომზადების საფუძველი (გაგრძელება)**

კომპანია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იყენებს კლასიფიკაციას ზარეების ფუნქციის მიხედვით. კომპანია მიიჩნევს, რომ ეს მეთოდი ფინანსური ანგარიშგების მკითხველებისთვის უზრუნველყოფს უფრო სასარგებლო ინფორმაციას, რადგანაც იგი უკეთ ასახავს, თუ როგორ ხდება ოპერაციების მართვა ბიზნისის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ფორმატი ემყარება მიმდინარე/გრძელვადიან დაყოფას.

2.2 შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები (მაგ: გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით). ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადახდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, კომპანია იყენებს ბაზარზე გაერცვლებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, კომპანია აზოროცილებს მის შეფასებას გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომლებიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებით მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უახლესი ტრანზაქციის ფასებს, დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

სამართლიანი ღირებულება იყოფა სამართლიანი ღირებულების იერარქიის სხვადასხვა დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რამდენად ხელმისაწვდომია შეფასებისთვის საჭირო მონაცემები და მონაცემთა მნიშვნელობა სამართლიანი ღირებულებით შეფასების პროცესში, მთლიანობაში:

- დონე 1 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;
- დონე 2 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება სხვა მდგენელების მიხედვით, გარდა დონე 1-ში გათვალისწინებული კოტირებული ფასებისა, რომლებიც ფიქსირდება აქტივისა და ვალდებულებისათვის ან პირდაპირი სახით (მაგ: ფასების სახით) ან არაპირდაპირი სახით (მაგ: ფასებიდან გამოთვლილი მონაცემების სახით);
- დონე 3 - სამართლიანი ღირებულება გამოითვლება შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მოიცავს აქტივების ან ვალდებულებების მონაცემებს, რომლებიც არ ეყრდნობა საბაზრო ფასებს (არასაბაზრო მონაცემები).

2.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები

2022 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი ახალი სტანდარტებისა და შესწორებების, თუმცა მათ გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"
- ბასს 37-ის შესწორებები "წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"
- ფასს 16-ის შესწორებები "კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ"

ბასს 16-ის შესწორებები: "ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ გამოყენებამდე მიღებული შემოსულობა"

დოკუმენტი ბასს 16-ის "ძირითადი საშუალებების" შესწორებები მოითხოვს, რომ კომპანიამ აღიაროს იმ ნაწარმის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა, რომელიც შეიქმნა ძირითადი საშუალებების დანიშნულებისამებრ მზადების პროცესში და, ასევე, დაკავშირებული დანახარჯები მოგება ან ზარალიში, ნაცვლად იმისა, რომ ეს მიღებული თანხები გამოქვეითოს აქტივის თვითღირებულებიდან. ეს ცვლილება გამოიყენება რეტროსპექტულად.

ბასს 37-ის შესწორებები - "წაგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების დანახარჯი"

ბასს 37-ის შესწორებების - "ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები" შედეგად უფრო ზუსტად განისაზღვრება დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ითვალისწინებს, როდესაც აფასებს, ხელშეკრულება წაგებიანი იქნება თუ არა.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

2.3 ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (გაგრძელება)

ფასს 16-ის შესწორებები - კოვიდ 19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა 2021 წლის 30 ივნისის შემდეგ

იმისათვის, რომ საწარმომ გამოიყენოს ფასის საიჯარო ქირის აღრიცხვის გამარტივებული მიდგომა, დაკმაყოფილებული უნდა იყოს შემდეგი ყველა პირობა:

- საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგეგვება ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორც იყო უშუალო საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- საიჯარო გადახდების შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ ისეთ გადახდებზე, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდის ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და
- იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

2.4 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი სტანდარტები და შესწორებები ჯერ არ არის ძალაში შესული და გავლენა არ აქვთ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ა) ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;
- ბ) ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებამდე";
- გ) ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში";
- დ) ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;
- ე) ბასს 8-ის შესწორებები - ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ და სააღრიცხვო შეფასების განმარტება;
- ვ) ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან.

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები;

- ფასს 17 - "სადაზღვევო ხელშეკრულებები" - ადგენს პრინციპებს საწარმოს მიერ დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებების აღიარების, შეფასების, წარდგენისა და მათ შესახებ განმარტებითი შენიშვნებში ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. გარდა ამისა, სტანდარტი ანალოგიური პრინციპების გამოყენებას მოითხოვს ასეთი სადაზღვევო ხელშეკრულებებისა და საწარმოს მიერ გამოშვებული დისკრეციული მონაცემების პირობების მქონე საინვესტიციო ხელშეკრულებების მიმართაც.

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

ბასს 1-ის შესწორებები - "ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებებამდე"

- ბასს 1-ის "ფინანსური ანგარიშგების წარდგენა" - შესწორებების შედეგად უფრო ნათლად განისაზღვრა მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ვალდებულებების ნაშთის წარდგენას მოკლევადიანი ან გრძელვადიანი ვალდებულებების სახით. ასევე, უფრო ნათლად არის განმარტებული ვალდებულებების დაფარვის მნიშვნელობა.

ფასს 10-ისა და ბასს 28-ის შესწორებები - "აქტივების გაყიდვა ან საკუთარ კაპიტალში შეტანა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის დადებული გარიგების ფარგლებში"

ფასს 10-ისა - "კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება" და ბასს 28-ის - "ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში" - შესწორებების შედეგად უფრო ნათელი გახდა ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოებს შორის განხორციელებული აქტივების გაყიდვის ან საკუთარ კაპიტალში შეტანის ოპერაციების სააღრიცხვო მიდგომა. იმ შემთხვევაში, როდესაც არაფულადი აქტივები წარმოადგენს საწარმოს, ინვესტორი აღიარებს მთელ შემოსულობას ან ზარალს, რომელიც დაკავშირებულია ამ აქტივების გაყიდვასთან ან საკუთარ კაპიტალში შეტანასთან. სხვა შემთხვევაში, ინვესტორი შემოსულობას ან ზარალს მხოლოდ იმ ოდენობით აღიარებს, რა ოდენობის წილიც აქვს სხვა ინვესტორს მეკავშირე საწარმოში ან ერთობლივ საწარმოში. ამ შესწორებების ძალაში შესვლა გადავადდა მანამდე, სანამ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭო დადასტურებს წილობრივ მეთოდთან დაკავშირებულ კვლევით პროექტს.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

2.5 სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

ბასს 1-ისა და ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2-ის - "ინფორმაციის გამჟღავნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ" - შესწორებები;

"სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელი ინფორმაციისა და სააღრიცხვო შეფასების განმარტების შესწორებები" - იწვევს შემდეგი სტანდარტების ცვლილებებს:

- ფასს 7, რათა ნათლად ჩანდეს, რომ საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის, სავარაუდოდ, არსებითი იქნება ფინანსური ინსტრუმენტების შეფასების საფუძვლის შესახებ ინფორმაცია;

- ბასს 1, რათა საწარმოს ინფორმაციის გამჟღავნება მოეთხოვოს არა მნიშვნელოვანი, არამედ არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკების შესახებ;

- ბასს 8, რათა უფრო ნათელი გახდეს, როგორ უნდა განასხვავოს საწარმომ სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება და სააღრიცხვო შეფასების ცვლილება;

- ფასს სტანდარტების პრაქტიკის დებულება 2 - "არსებობის განსჯა", რათა საწარმოს ჰქონდეს მითითებები იმის თაობაზე, როგორ უნდა გამოიყენოს არსებობის ცნება სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ გასამჟღავნებელ ინფორმაციასთან მიმართებით.

ბასს 12-ის შესწორებები - გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან

- დოკუმენტმა - "გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი ოპერაციიდან წარმოშობილ აქტივებსა და ვალდებულებებთან" - გამოიწვია ბასს 12-ის შეცვლა, რათა უფრო ნათელი გამხდარიყო ისეთი ოპერაციებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესი, რომლებიც, ოპერაციის განხორციელების მომენტში, წარმოშობს იდენტურ დასაბეგრ და გამოსაქვით დროებით სხვაობებს. გარკვეულ გარემოებებში, საწარმო თავისუფლდება გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ის პირველად აღიარებს აქტივებს ან ვალდებულებებს. ბასს 12-ის ამ შესწორების დოკუმენტში მითითებულია, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება ისეთ ოპერაციებზე, რომლის დროსაც საწარმო აღიარებს, როგორც აქტივს, ისე ვალდებულებას და ამავე დროს წარმოიქმნება იდენტური დასაბეგრი და გამოსაქვითი დროებითი სხვაობები. ასე შეიძლება მოხდეს ისეთი ოპერაციების შემთხვევაში, როგორიცაა იჯარა და ექსპლუატაციიდან ამოღების, ადგილმდებარეობის აღდგენისა და მსგავსი ვალდებულებები.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას აღიარებს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივის/ვალდებულების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივის/ვალდებულების გარიგების ფასი, გარდა იმ ინსტრუმენტებისა, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", მოიცავს უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც გაწეულ იქნა ფინანსური ინსტრუმენტის შესაძენად/გამოსაშვებად. ფინანსური აქტივების/ვალდებულებების გარიგებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც კლასიფიცირდება "სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ინსტრუმენტები მოგება-ზარალში ასახვით", დაუყოვნებლივ გატარდება ხარჯებში.

კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, ანუ აქტივი აღიარდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)**2.6 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, თუ ორივე შემდგომი პირობა დაკმაყოფილებულია: ა) საწარმო ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოცულების პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივის გაყიდვა რეალური ღირებულებით; და ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

ყველა სხვა ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება და ფასდება "რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით", თუ საწარმო არ გააკეთებს შეუქცევად არჩევანს, რომ თავდაპირველი აღიარებისას წილობრივ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი ასახოს სხვა სრულ შემოსავალში (რომელიც არ არის გამიჯნული გასაყიდად ან არ არის აღიარებული პირობით ასანაზღაურებელ თანხად ბიზნესგაერთიანების დროს).

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების რეზერვის ხარჯის გაანგარიშების მთავარ კრიტერიუმს წარმოადგენს კომპანიის მიერ ფინანსური აქტივების რისკების შეფასება, კერძოდ, მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა ფინანსური აქტივების საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდგომ.

იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაიზარდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარებიდან, კომპანია ახდენს მომდევნო 12 თვის საგარეო საკრედიტო ზარალის რეზერვის გაანგარიშებას, რომელიც წარმოადგენს მომდევნო 12 თვის განმავლობაში არახელსაყრელი გარემოებების განვითარების შედეგად ფინანსური აქტივის შესაძლო გაუფასურების ზარალს. თუ ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა ან აშკარაა მისი გაუფასურება, კომპანია ქმნის რეზერვს, რომელიც წარმოადგენს ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ ზარალს. ამ შემთხვევაში ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვი არის ფინანსური აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შემცირება, დისკონტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივების ღირებულების ნებისმიერი ცვლილება, რაც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - აისახება სხვა სრულ შემოსავალში, ყველა სხვა შემთხვევაში - მოგება-ზარალში.

იმ დებიტორული დავალიანებებისათვის, რომლებიც არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია გაუფასურების რეზერვს განსაზღვრავს კოლექტიურად, რომელიც დაფუძნებულია გადასახდელების მოკრების კომპანიის წარსულ გამოცდილებაზე, პორტფელში დავალიანებული გადახდების ზრდაზე, ეკონომიკურ მდგომარეობაში ცვლილებებზე და სხვ. #

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	30 დღეზე ნაკლები	31 - 60 დღე	61 - 90 დღე	91 - 180 დღე	180 დღეზე მეტი
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისთვის, თუ გაუფასურების ზარალი შემდგომ პერიოდში შემცირდება და ეს შემცირება გამყარებულია ობიექტური მტკიცებულებით გაუფასურების აღიარების შემდგომ მომხდარი მოვლენებით, მაშინ ხდება წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის უკან დაბრუნება (პირდაპირ ან დებიტორული დავალიანების საეჭვო მოთხოვნების რეზერვის კორექტირებით) მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, უკან დაბრუნების შედეგად, საბალანსო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს ფინანსური აქტივის ამორტიზირებულ ღირებულებას, რომელიც დაფიქსირდებოდა თუ არ აღიარდებოდა გაუფასურება გაუფასურების უკან დაბრუნების დღეს.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

გარიგებების სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი გაივლიან ფასს 9-ით დადგენილ აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს "შინაარსის ფორმაზე აღმატებულების" პრინციპზე დაყრდნობით. კრიტერიუმები მოიცავს ორი სხვადასხვა სახის შეფასებას, რომელიც ზორციელდება მკაცრად მოცემული თანმიმდევრობით:

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

- შესაკუთრების რისკებისა და სარგებლის გადაცემის შეფასება;
- კონტროლის გადაცემის შეფასება.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას ახდენს ორ კატეგორიად:

სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ფინანსური ვალდებულებები მოგება-ზარალში ასახვით (FVTPL)- ვალდებულებები ამ კატეგორიაში კლასიფიცირდება, როდესაც მათი ფლობის მთავარი მიზანი უახლოეს მომავალში მათი გაყიდვა ან გამოსყიდვა (საფაქტო ვალდებულებები) ან ისინი წარმოადგენენ წარმოებულ ინსტრუმენტებს (გარდა წარმოებული ინსტრუმენტებისა, რომლებიც განკუთვნილია ეფექტური პეჯირების ინსტრუმენტად) ან თავდაპირველი აღიარებისას აკმაყოფილებენ პირობებს ამ კატეგორიაში მოსაზღვრად. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული სამართლიანი ღირებულების ნებისმიერი ცვლილება წარმოშობისთანავე აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სხვა ფინანსური ვალდებულებები - ყველა ვალდებულება, რომელიც არ გადანაწილდა წინა ჯგუფში, ხდება აღნიშნულ კატეგორიაში. აღნიშნული ვალდებულებები აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულებდა, გაუქმდებოდა ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან (90 დღემდე) ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც გამოიყენება მომსახურების გასაწევად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის და გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება დარიცხული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა ხდება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში, შემდეგნაირად:

საოფისე აღჭურვილობა და ინვენტარი

20% წრფივ

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულებისა და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

2.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (საიმედო) შეფასება.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

2.8 არამატერიალური აქტივები (გაგრძელება)

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს მისი შესყიდვის ფასს, მათ შორის იმპორტის გადასახადს და უკანდაბრუნებად გადასახადებს, სავაჭრო დისკონტების და ფასდაკლებების დაქვითვის შემდეგ და აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად საშუალო მდგომარეობაში მოსაყვანად საჭირო ნებისმიერ სხვა პირდაპირ ხარჯს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებისთვის დარიცხული ამორტიზაციისა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალის გამოკლებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის მეთოდის გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. სხვაობა გასხვისების შედეგად მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის აღიარდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება.

ამორტიზაცია

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია წარმოებს იმგვარად, რომ მოხდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების 7-10 წლიანი ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია არ წარმოებს, მაგრამ ისინი ექვემდებარებიან გაუფასურებისთვის შემოწმებას, როგორც ეს დადგენილია ქვემოთ.

2.9 არაფინანსური აქტივების გაუფასურება

განსაზღვრული სასარგებლო ვადის მქონე ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივების საბალანსო ღირებულება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შემოწმდება გაუფასურებაზე და აქტივის გაუფასურების შემთხვევაში, ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის გამოყენების ღირებულებასა და რეალიზაციის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებას შორის. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალურად აქტივისთვის იმ შემთხვევაში თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივისგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. ხოლო თუ აქტივი წარმოქმნის ფულად სახსრებს სხვა აქტივებთან ან აქტივთა ჯგუფთან ერთად, მაშინ ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულისთვის, რომელზეც მიბმულია აქტივთა ჯგუფი.

გამოყენების ღირებულება არის აქტივის/ფულადი სახსრების წარმოქმნელი ერთეულის მომავალში გამოყენების შედეგად მისაღები ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება. მიმდინარე ღირებულება გამოითვლება დაბეგვრამდე დისკონტირებული განაკვეთებით, რომლებიც ასახავენ დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ აქტივთან/ფულადი სახსრების წარმოქმნელ ერთეულთან დაკავშირებულ რისკებს, რომლის გაუფასურების შეფასებას აქვს ადგილი.

2.10 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორისი სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში გამოხატული და სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი პუნქტები (მაგ: გასაყიდად არსებული წილობრივი ინსტრუმენტები) კონვერტაციას ექვემდებარება იმ დღის გაცვლითი კურსის გამოყენებით, როდესაც მოხდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)**2.10 უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები (გაგრძელება)**

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი		
	დოლარი	ევრო	ფუნტი
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2.7020	2.8844	3.2581
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3.0976	3.5040	4.1737
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლისათვის	2.9156	3.0792	3.6181
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლისათვის	3.2209	3.8140	4.4325

2.10 მოგების გადასახადი

კომპანია მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 98¹-ე მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

2.11 ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს მოვალეობას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე, გადასახადებამდე მოქმედი განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და გარკვეულ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, მათი დადგომის შესაბამისად.

2.12 კაპიტალი

წილობრივი ინსტრუმენტები წარმოადგენენ ხელშეკრულებებს, რომლებიც ადასტურებენ კომპანიის აქტივებში მისი ყველა ვალდებულების გამოკეტივის შემდეგ დარჩენილი წილის უფლებას. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება როგორც კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტები აღიარდება ტრანზაქციიდან მიღებული თანხის ოდენობით, გარიგებასთან პირდაპირ დაკავშირებული ხარჯების გამოკლების შემდეგ. თუ აღნიშნული შემოსულობები აღმატება გამოშვებულ აქციათა ნომინალურ ღირებულებას, ისინი აისახება საემისიო კაპიტალში.

დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებებად, მათი გამოცხადების მომენტისთვის (ანუ არსებობს დივიდენდებზე სათანადო უფლებამოსილება და ისინი აღარ წარმოადგენენ სუბიექტის უფლებას). შუალედური დივიდენდები აღიარდება გადახდისთანავე.

2.13 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

კომპანია შემოსავალს მომსახურების გაწევიდან აღიარებს მაშინ, როდესაც: მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; მოსალოდნელია მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება; საანგარიშგებო თარიღისათვის ტრანზაქციის შესრულებული სტადიის შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი; და შესაძლებელია, საიმედოდ განისაზღვროს ტრანზაქციის დასასრულებლად გასაწევი ხარჯები. შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

თითოეულ კონტრაქტთან დაკავშირებით საწარმო ახდენს: ხელშეკრულების იდენტიფიცირებას, ხელშეკრულების შესრულების ვალდებულებებს; განსაზღვრავს გარიგების ფასს, რომელიც ითვალისწინებს ცვლადი ანაზღაურების თანხისა და ფულის დროითი ღირებულების შეფასებებს; გარიგების ფასს ანაწილებს თითოეულ შესასრულებელ ვალდებულებაზე განცალკევებით გასაყიდი შედარებითი ფასის საფუძველზე; და აღიარებს ამონაგებს მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შესრულების ვალდებულება დაკმაყოფილებულია იმ გზით, რომელიც ასახავს დაპირებული საქონლის ან მომსახურების გაცემას მომხმარებელზე.

2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასებების მიმოხილვა (გაგრძელება)

2.13 შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აისახება ყველა სავალო ინსტრუმენტთან მიმართებით დარიცხვის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მეშვეობით. აღნიშნული მეთოდით, საპროცენტო შემოსავლებსა და ხარჯებში კლასიფიცირდება ხელშეკრულების მხარეების მიერ გადახდილი და მიღებული ყველა საზღაური, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, საოპერაციო ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი.

საზღაურები, რომლებიც წარმოადგენენ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, მოიცავენ საზღაურებს, რომლებიც მიღებულ ან გადახდილ იქნა სუბიექტის მიერ ფინანსური აქტივის შექმნასა ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად როგორცაა კრედიტუნარიანობის დადგენისთვის, გარანტიებისა თუ უზრუნველყოფის შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგებასთან დაკავშირებული დოკუმენტების დამუშავების საზღაურები.

2016 წლის იანვარში ბასს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 "იჯარა". ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა შეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი ავალდებულებს იჯარების უმეტესობის თაიდან ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ "მოკლევადიანი" იჯარები და იჯარები "დაბალი ღირებულების მქონე" აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება და საპროცენტო ხარჯი და სამართიზაციო ანარაცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

კომპანიის იჯარები არის მოკლევადიანი. მოკლევადიანი იჯარები არის იჯარები, რომელთა საიჯარო ვადა შეადგენს 12 თვეს ან ნაკლებს. მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული გადახდები აღიარებულია წრფივი მეთოდის საფუძველზე, როგორც ხარჯი მოგება - ზარალში.

კომპანია იჯარის ვადად მიიჩნევს იჯარის არაგაუქმებელ პერიოდს, შემდეგ პერიოდებთან ერთად:

- პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის გაგრძელების არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას; და
- პერიოდები, რომლებზეც ვრცელდება იჯარის ვადაზე შეწყვეტის არჩევანის უფლება, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე არ გამოიყენებს ამ უფლებას.

2.14 ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაფარება და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა თანხით მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის კანონიერი უფლება და არსებობს განზრახვა იმისა, რომ აღნიშნული თანხები ანაზღაურდეს წმინდა ღირებულებით ან მოხდეს აქტივების და ვალდებულებების ანაზღაურება ერთდროულად.

შემოსავლებისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა არ ხდება, თუ ის არ მოითხოვება და ნებადართული არ არის ფასს-ის მიხედვით და არ არის თანდართული კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის მიხედვით მენეჯმენტისგან სააღრიცხვო შეფასებებსა და მსჯელობების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე აისახება. სააღრიცხვო შეფასებები კეთდება ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, მათ შორის მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით მენეჯმენტის იმ მოლოდინების გათვალისწინებით, რომელიც დასაბუთებული ჩანს არსებულ პირობებში. მსჯელობები, რომლებიც განსაკუთრებულად აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რამაც შესაძლოა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება გამოიწვიოს მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში მოიცავს:

3 კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებები (გაგრძელება)**ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას მსგავსი აქტივების შეფასებასთან მიმართებაში. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ითვალისწინებს სავარაუდო გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ გაუმართაობას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, სადაც ამ აქტივს უხდება მუშაობა. შეფასებებში ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს მომავალში ცვეთის ხარჯის კორექტირება.

ბ) ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება სამომავლო ვალდებულებებისთვის, როდესაც კომპანიას აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების საფუძველზე და სავარაუდოა, რომ კომპანიას მოეთხოვოს ამ ვალდებულებების შესრულება. ანარიცხები, რომლებიც ვერ აკმაყოფილებენ ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს, თანდართულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში როგორც პირობითი ვალდებულებები, რადგანაც, მათი არსებობა დადასტურდება მხოლოდ რომელიმე არასარწმუნო სამომავლო გარემოების დადგომისას, რომელიც მთლიანად არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს.

გ) გადასახადები

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვაგვარად ინტერპრეტირების საშუალებას. კომპანიის მენეჯმენტი აღიარებს ვალდებულებებს მოსალოდნელი დამატებითი საგადასახადო გაანგარიშებებისთვის საგადასახადო აუდიტის შეფასებების შედეგის საფუძველზე, არის თუ არა იმის ალბათობა, რომ კომპანიას დეკლარაცია დამატებითი გადასახადები. როცა საბოლოო საგადასახადო შედეგები განსხვავდება თავდაპირველად აღრიცხული რაოდენობისგან, ეს სხვაობები გავლენას ახდენენ იმ პერიოდზე, როცა აღნიშნული განსაზღვრებები გაკეთდა.

4 ფული და ფულის ეკვივალენტები**31-დეკ-2022 31-დეკ-2021**

ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,510	1,507
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	28,586	10,269
ნაშთი მიმდინარე საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	42,169	34,069
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში	25,540	41,670
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	98,805	87,515

დეპოზიტები შედგება მოკლევადიანი დეპოზიტებისგან, რომელთაც ერიცხებათ საპროცენტო განაკვეთი 0.25% - 3%-მდე შესაბამისი დეპოზიტის განაკვეთის საფუძველზე.

2022 და 2021 წლების განმავლობაში დეპოზიტებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია იხილეთ მე-17 განმარტებით შენიშვნაში.

კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია საიმედო ფინანსურ ინსტიტუტებში, სადაც რაიმე არსებითი საკრედიტო რისკი კომპანიის ფულად სახსრებთან დაკავშირებით არ წარმოიშობა. კომპანიის ფულადი სახსრები განთავსებულია იმ ბანკში, რომლებიც Fitch-ის მიერ შეფასებულია, როგორც B-ის მქონე (მოკლევადიანი რეიტინგი), BB- და B+-ის მქონე (გრძელვადიანი რეიტინგი).

5 დებიტორული დავალიანება**31-დეკ-2022 31-დეკ-2021**

სავაჭრო მოთხოვნები	39,108	41,428
გადახდილი ავანსები	3,870	4,364
მინუს: საეჭვო მოთხოვნების რეზერვი	(23,098)	(24,875)
სულ დებიტორული დავალიანება	19,880	20,917

6 დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები

	ვალუტა	საწყისი თანხა ვალუტაში	დაფარვის ვადა	სარგებელი	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
m2 უძრავი ქონება	შშ დოლარი	61,000	07-ოქტ-2022	7.50%	-	192,489
m2 უძრავი ქონება	შშ დოლარი	61,000	07-ოქტ-2024	7.50%	167,205	-
სულ გაუფასურების რეზერვამდე					167,205	192,489
ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ანარიცხი (შენიშვნა 19)					(1,672)	(1,925)
წმინდა დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები					165,533	190,564

საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივებიდან იხილეთ მე-17 განმარტებითი შენიშვნებში. საანგარიშგებო პერიოდში არ ყოფილა არსებითი სხვაობა კუპონის განაკვეთისა და ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს შორის.

7 არამატერიალური აქტივები

	ლიცენზია	კომპიუტერული პროგრამები	სულ
ისტორიული ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	450	21,394	21,844
ჩამოწერა	(450)	-	(450)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	21,394	21,394
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	21,394	21,394
ამორტიზაცია			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(450)	(13,677)	(14,127)
ამორტიზაცია წლის მანძილზე	-	(1,377)	(1,377)
ჩამოწერილი არამატერიალური აქტივის აკუმ. ამორტიზაცია	450	-	450
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(15,054)	(15,054)
ამორტიზაცია წლის მანძილზე	-	(1,310)	(1,310)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	(16,364)	(16,364)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	7,717	7,717
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	6,340	6,340
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	5,030	5,030

2022 წლის ბოლოსთვის კომპანიას აქვს სრულად ამორტიზებული კომპიუტერული პროგრამის ლიცენზია, რომლის ისტორიული ღირებულება შეადგენს 1,054 ლარს. (2021 წელი: 1,054 ლარი).

8 ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში

კომპანია ფლობს სს „საქწყალპროექტის“ აქციათა 1.64%-ს. 2022 წელს მიღებული დივიდენდის ოდენობა შეადგენს 10,619 ლარს (2021: 0 ლარი). კომპანია 2017 წლის 31 დეკემბრამდე ხელმძღვანელობდა ბასს 39-ით, რომლის მიხედვითაც აღნიშნულ ფინანსურ აქტივს ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგენდა დანახარჯების მეთოდით. 2018 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ფასს 9-ის მიხედვით კომპანია ვალდებულია მსგავსი ფინანსური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში წარადგინოს სამართლიანი ღირებულებით. ვინაიდან რეალური ღირებულების შესაფასებლად საჭირო ახალი ინფორმაცია არ არის კომპანიისთვის ხელმისაწვდომი, ხელმძღვანელობამ გამოიყენა ფასს 9-ის ბ5.2.3 პუნქტით გათვალისწინებული გამონაკლისის უფლება და რეალური ღირებულების მართებულ შეფასებად მიიჩნია თვითღირებულება, როგორც 2018 წლის 1 იანვრის, ასევე 2018, 2019, 2020, 2021 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

9 გადასახდელი ხელფასის ანარიცხი

2022 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადასახდელი ხელფასის ანარიცხი უკავშირდებოდა კომპანიის თანამშრომლისთვის გადასახდელ ხელფასს, რომელთანაც 2022 და 2021 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა სასამართლო დავები. (იხ. შენიშვნა 19.2).

ანარიცხი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	58,971
გადახდა	(14,171)
დარიცხვა	9,600
ანარიცხი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	54,400
დარიცხვა	9,600
ანარიცხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	64,000

2019 წელს კომპანიამ შექმნა ანარიცხი ყოფილი თანამშრომლისთვის გადასახდელი თანხის 50%-ის ოდენობით. მსგავსი შინაარსის დავებზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით მიმდინარე პერიოდში კომპანიის მოლოდინია, რომ სასამართლო დავა 50%-ზე მეტი ალბათობით დასრულდება ყოფილი თანამშრომლის სასარგებლოდ. შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის თარიღისთვის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია გადასახდელი ხელფასის ანარიცხი ყოფილი თანამშრომლისთვის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადასახდელი თანხის 100%-ის ოდენობით.

10 საკუთარი კაპიტალი

საქციო კაპიტალი შედგება 15,000 ცალი ნებადართული 1 ლარი ნომინალური ღირებულების მქონე ჩვეულებრივი აქციისგან, საიდანაც განთავსებული ჩვეულებრივი აქციის ოდენობაა 14,600 ცალი აქცია. კომპანიას 2022 და 2021 წლის განმავლობაში ახალი აქციები არ გამოუშვია.

2022 და 2021 წლის განმავლობაში კომპანიას აქციონერებზე დივიდენდი არ გაუნაწილებია.

კაპიტალის მართვა

საკუთარი კაპიტალის მართვისას (რომელსაც კომპანია განმარტავს, როგორც თავის ფასის-ის მიხედვით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ წმინდა აქტივებს) კომპანიის მიზანია, შექმნას რისკების დაზღვევისთვის საკმარისი ბუფერი და უზრუნველყოს კომპანიის ფუნქციონირებად საწარმოოდ დარჩენის უნარი, რათა მან გააგრძელოს დაინტერესებული მხარეებისთვის სარგებლის შექმნა და დააგენერიროს უკუგება აქციონერებისთვის.

ამ მიზნების მისაღწევად კომპანია აფასებს პროდუქტებისა და პროექტების თანმდევ რისკებს და შესაბამისობას კაპიტალურ ბუფერებთან; მუდმივად განახლებადი ფინანსური ანგარიშგებების წარმოებით მართავს და აკონტროლებს საკუთარი კაპიტალის შესაბამისობას რისკებთან და კაპიტალის მოთხოვნებთან.

სს "კავკასიურესტრი" საქართველოს ეროვნული ბანკი ("სებ") უსაზღვრავს საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. ეროვნული ბანკის მოთხოვნის თანახმად სს "კავკასიურესტრის" საკუთარი კაპიტალის მინიმალური ოდენობა უნდა შეადგენდეს 250,000 ლარს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "კავკასიურესტრის" საკუთარი კაპიტალი არის 273,176 ლარი (2021 წელი: 298,804 ლარი), შესაბამისად კომპანია აკმაყოფილებს მინიმალური საკუთარი კაპიტალის მოთხოვნებს. სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნების მართვა ინტეგრირებულია კაპიტალის მართვის საერთო ჩარჩოში და კონტროლირდება დინამიურად კომპანიის მენეჯმენტის მიერ.

11 მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი

	2022	2021
საბონენტო შემოსავალი ემიტენტებისგან	76,090	77,774
ემიტენტის აქციების გასხვისებისგან მიღებული საკომისიო შემოსავალი	31,479	14,741
ბირჟაზე გარიგების დაფიქსირების საკომისიო	-	10
სხვა საოპერაციო შემოსავალი	14,656	12,934
სულ მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავალი	122,225	105,459

სს "კავკასიურეკსტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

12 ხელფასის ხარჯი	2022	2021
ხელფასი	73,149	74,049
მმართველი ორგანოსა და თანამშრომლისთვის განაცდური ხელფასის ანაზღაურების ანარიცხი	12,000	12,000
პრემია	5,541	6,691
საპენსიო შენატანის ხარჯი	1,411	1,606
სულ ხელფასის ხარჯი	92,101	94,346

ყოფილი მმართველი ორგანოსა და თანამშრომლისთვის განაცდური ხელფასის კომპენსაციისთვის კომპანიამ გააკეთა არაგანმეორებადი ხარჯის 100%-იანი ანარიცხი (იხილეთ შენიშვნა 9).

13 ოფისის იჯარის ხარჯი

2022 წლის განმავლობაში იჯარის ხარჯმა, რომელიც მოიცავს ოფისის იჯარას, შეადგინა 20,969 ლარი (2021 წელი: 23,182 ლარი).

14 კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება / (ზარალი)

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის კადამდე ფლობილი ინვესტიციები	კრედიტორული დავალიანება	სულ
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	5,305	4,663	15,083	366	25,417
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	(14,551)	(7,124)	(39,543)	(157)	(61,375)
2022 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	(9,246)	(2,461)	(24,460)	209	(35,958)

	ფული და ფულის ექვივალენტები	დებიტორული დავალიანება	დაფარვის კადამდე ფლობილი ინვესტიციები	კრედიტორული დავალიანება	სულ
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან	3,897	3,299	15,072	104	22,372
ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	(9,164)	(3,954)	(25,033)	(103)	(38,254)
2021 წლის კურსთაშორისი სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	(5,267)	(655)	(9,961)	1	(15,882)

15 ცვლილება ფინანსური აქტივის გაუფასურების რეზერვში

	დაფარვის კადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	დებიტორული დავალიანება	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	(2,185)	(27,024)	(29,209)
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	-	2,208	2,208
წლის განმავლობაში ამოღებული თანხები	260	7,215	7,475
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	-	(7,274)	(7,274)
2021 წლის 31 დეკემბერი	(1,925)	(24,875)	(26,800)
წლის განმავლობაში ამოღებული თანხები	253	3,035	3,288
რეზერვის ხარჯი წლის განმავლობაში	-	(1,258)	(1,258)
2022 წლის 31 დეკემბერი	(1,672)	(23,098)	(24,770)

სს "კავკასრეესტრი"

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

თანხები მოცემულია ლარებში

16 სხვა ხარჯები	2022	2021
მონაცემთა ბაზით სარგებლობის ხარჯი	4,558	4,944
ავტორიზაციის უფლების ხარჯი	1,460	1,460
საფოსტო ხარჯი	415	616
სხვადასხვა მომსახურების ხარჯები	9,018	3,457
სულ სხვა ხარჯები	15,451	10,477

17 ფინანსური შემოსავალი	2022	2021
შემოსავალი ფასიანი ქაღალდებიდან	12,514	14,726
საბანკო დეპოზიტებისგან მიღებული პროცენტი	192	325
სულ ფინანსური შემოსავალი	12,706	15,051

18 შემოსავალი / (ზარალი) ერთ აქციაზე

ჩვეულებრივ შემოსავალი ერთ აქციაზე გამოითვლება წლის მოგებისა და წლის მანძილზე საშუალო შეწონილი ჩვეულებრივი აქციების რაოდენობის შეფარდებით. კომპანია ფლობს მხოლოდ ჩვეულებრივ აქციებს.

	2022	2021
მოგება/(ზარალი) მიმდინარე წლისთვის	(25,628)	(30,639)
აქციების რაოდენობის საშუალო შეწონილი	14,600	14,600
საბაზისო	(1.76)	(2.10)

19 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

19.1 დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მას ახასიათებს სასამართლო გადაწყვეტილებებისა და დებულებების ხშირი ცვლილება. საგადასახადო ნორმები ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია კომპანიას დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოხსენებული ვითარებები წარმოქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, ხელმძღვანელობს რა საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, შესაბამისი საგადასახადო ორგანოების კომპანიისგან განსხვავებულმა პოზიციამ შესაძლოა არსებითი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

19.2 სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის მიმდინარე დავა ეხება სს „კავკასრეესტრის“ თანამშრომლის გათავისუფლების კანონიერებასა და მისთვის განაცდური ხელფასების კომპენსაციას.

აღნიშნული დავის უარყოფითად დასრულების შემთხვევაში, კომპანიას დაეკისრება ყოფილი თანამშრომლის განაცდური ხელფასის ანაზღაურება (ყოველთვიური 1,000 ლარის ოდენობით 2016 წლის 01 ივნისიდან სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე). აღნიშნული დავა საქალაქო და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოებში გადაწყვეტილი იყო დასაქმებულის სასარგებლოდ. თუმცა, 2022 წლის 22 თებერვლის განჩინებით, უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, რაც ნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო ვალდებულია ხელახლა განიხილოს აღნიშნული საქმე. მსგავსი შინაარსის დავებზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით კომპანიის მენეჯმენტის მოლოდინია, რომ დავა 50%-ზე მეტი ალბათობით დასრულდება თანამშრომლის სასარგებლოდ და შესაბამისად შექმნა გადასახდელი ხელფასის ანარიცხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (იხილეთ შენიშვნა 9).

19 პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები (გავრძელება)**19.2 სასამართლო დავები (გავრძელება)**

სხვა სასამართლო დავები ამჟამად განიხილება სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებში. პარალელურად მიმდინარეობს სარეგისტრაციო საქმის წარმოება საჯარო რეესტრში, რომელიც კავშირშია ზემოაღნიშნული დავების მიმდინარეობასთან. სს „კავკასიურესტრი“-მ მენეჯმენტის მოლოდინია, რომ აღნიშნული დავების უმრავლესობა 50%-იანი ალბათობით დასრულდება კომპანიის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე დავა (ან დავები) დასრულდება კომპანიის საწინააღმდეგოდ, კომპანია არ ელოდება ისეთი სახის მატერიალურ ზარალს, რომელიც საფრთხის ქვეშ დააყენებს მის არსებობას ან გამოიწვევს მიმდინარე საქმიანობის სერიოზულ შეფერხებას.

20 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არის რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	96,295	86,008
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	2,383	190,564
დებიტორული დავალიანება	16,010	16,553
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	168,773	347,210
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,722	4,478
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,722	4,478

20.1 საკრედიტო რისკი

კომპანია საკრედიტო რისკის საფრთხეს აკონტროლებს ინდივიდუალურ მომხმარებლებზე ლიმიტების დაწესებით. მომხმარებლის საკრედიტო ლიმიტების დაწესების დროს გამოიყენება სხვადასხვა სააგენტოები, მომხმარებლის საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით. კომპანიას შემუშავებული აქვს კრედიტუნარიან კლიენტებთან საქმის წარმოების პოლიტიკა.

არ შეინიშნება საკრედიტო რისკების მნიშვნელოვანი კონცენტრაცია.

20 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)**20.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ფული და ფულის ეკვივალენტები	96,295	86,008
დაფარვის ვადაზე ფლობილი ფინ. აქტივები	165,533	190,564
დებიტორული დავალიანება	16,010	16,553
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	54,085	54,085
სულ საკრედიტო რისკი	331,923	347,210

როგორც შენიშვნა 4 განმარტავს, ფული და ფულის ეკვივალენტის ბალანსი აღნიშნავს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშოსა და მოკლევადიან საბანკო დეპოზიტებს. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისა და დაფარვის ვადაზე ფლობილი ინვესტიციებისათვის. დებიტორულ დავალიანებებს კომპანია მართავს ვადაგადაცილების დღეების მიხედვით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

კომპანია იყენებს გაუფასურების 3-დონიან მოდელს, რომელიც დაფუძნებულია ფინანსური აქტივის საწყისი აღიარების შემდგომ მისი საკრედიტო რისკის ხარისხის ცვლილებაზე, რომელიც ჩამოთვლილია ქვემოთ:

- ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც არ არის გაუფასურებული საწყისი აღიარებისას, კლასიფიცირდება როგორც I დონე და მისი საკრედიტო რისკი განგრობითად კონტროლირებადია კომპანიის მიერ;
- თუ საწყისი აღიარების შემდგომ დაფიქსირდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა, მაშინ ფინანსური ინსტრუმენტი გადადის II დონეში, მაგრამ ამ ეტაპზე არ მიიწვევა გაუფასურებულად;
- I დონის ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის პროპორციული წლის მომდევნო 12 თვეში მოსალოდნელი მოვლენებისა. ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი II და III დონისთვის გამოითვლება როგორც არსებობს მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი ასახავს კომპანიის მიერ გამოყენებულ გაუფასურების მეთოდს.

I დონე	II დონე	III დონე *
(საწყისი აღიარება)	(საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა საწყისი აღიარების შემდეგ)	(გაუფასურებული აქტივი)
12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	არსებობს განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარაჯი	არსებობს მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი

კომპანია ფინანსური ანგარიშგების ყველა ფინანსურ აქტივს, გარდა დებიტორული დავალიანებისა, ასახავს I დონეში როგორც 2022 წლის დასაწყისში, ასევე 2022 წლის ბოლოს.

დებიტორული დავალიანებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას, რომელიც დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს 5 ვადაგადაცილების დონე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის პროცენტი დაფუძნებულია კომპანიის საოპერაციო სექტორსა და მის წარსულ გამოცდილებაზე.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცხრილი ვადაგადაცილებისა და პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით მოცემულია ქვემოთ.

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	> 180
დარეზერვების პროცენტულობა	2%	5%	25%	50%	100%

დაფარვის ვადაზე ფლობილი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაფუძნებულია მისი პირველადი აღიარების შემდგომ საკრედიტო რისკის ცვლილებაზე.

20 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)

20.1 საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

ზარალის ანარიცხი ითვლება მოცემული საფუძვლებიდან ერთ-ერთით: ა) 12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვან ზრდას არ განიცდის; ბ) არსებობის განმავლობაში არსებული საკრედიტო ზარალი - თუ ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მისი საწყისი აღიარების შემდეგ განიცდის მნიშვნელოვან ზრდას.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი საწყისი აღიარების შემდგომ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა, კომპანია დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინ. აქტივებისთვის იყენებს 12 თვიან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომას.

20.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით.

ამჟამად, კომპანია გეგმავს ყველა ვალდებულების შესრულებას სახელშეკრულებო ვადით. ასეთი ვალდებულებების შესასრულებლად, კომპანიის მხოლოდინის თანახმად, საოპერაციო საქმიანობით მოხდება საკმარისი ფულადი სახსრების შემოდინება.

ლიკვიდურობის რისკი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	98,805	-	-	-	98,805
დებიტორული დაგაღიანება	19,880	-	-	-	19,880
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	2,383	163,150	-	-	165,533
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	-	-	-	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	121,068	163,150	-	54,085	338,303
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	1,722	-	-	-	1,722
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,722	-	-	-	1,722
ლიკვიდურობის პოზიცია	119,346	163,150	-	54,085	336,581

ლიკვიდურობის რისკი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულის ეკვივალენტები	87,515	-	-	-	87,515
დებიტორული დაგაღიანება	20,917	-	-	-	20,917
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	190,564	-	-	-	190,564
ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში	-	-	-	54,085	54,085
სულ ფინანსური აქტივები	298,996	-	-	54,085	353,081
ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო ვალდებულებები	4,478	-	-	-	4,478
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,478	-	-	-	4,478
ლიკვიდურობის პოზიცია	294,518	-	-	54,085	348,603

20 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)**20.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი**

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების სამართლიან ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა შეფასდა, როგორც უმნიშვნელო.

საპროცენტო განაკვეთის რისკთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ:

წლიური %-ში	31.12.2022		31.12.2021	
	ლარი	დოლარი	ლარი	დოლარი
ფული და ფულის ეკვივალენტები	2-3%	0.25-0.75%	2-3%	0.5-0.75%
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	-	7.50%	-	7.50%

20.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასაცემები) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებას.

ფინანსური აქტივები ვალუტის მიხედვით

ფინანსური აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	ფული და ფულის ეკვივალენტები	სულ
აშშ დოლარი	18,761	165,533	67,709	252,003
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,761	165,533	67,709	252,003

ფინანსური აქტივები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	დებიტორული დავალიანება	დაფარვის ვადამდე ფლობილი ფინანსური აქტივები	ფული და ფულის ეკვივალენტები	სულ
აშშ დოლარი	18,031	190,564	75,740	284,335
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	18,031	190,564	75,740	284,335

ფინანსური ვალდებულებები ვალუტის მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ვალდებულებები ვალუტების მიხედვით:

ფინანსური ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	სულ
აშშ დოლარი	(2,521)	(2,521)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,521)	(2,521)

20 ინფორმაცია ფინანსური რისკის შესახებ (გაგრძელება)**20.5 სავალუტო რისკი (გაგრძელება)**

ფინანსური ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტების მიხედვით:

	სავალუტო და სხვა ვალდებულებები	სულ
აშშ დოლარი	(2,604)	(2,604)
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(2,604)	(2,604)

ლარის გაცვლითი კურსის 10%-იანი გამყარება/გაუფასურება აშშ დოლარის მიმართ შეამცირებს/გაზრდის დაბეგვრის შემდგომ მოგებას 24,948 ლარით (2021: 28,173 ლარით).

21 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარე არის პიროვნება ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას (ზემოაღნიშნული საწარმო წინამდებარე სტანდარტში მოიხსენიება როგორც "ანგარიშვალდებული საწარმო").

ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ:

- (i) ეს პირი აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს;
- (ii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან
- (iii) არის ანგარიშვალდებული საწარმოს ან მისი სათავე საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ სათავე საწარმო, შეიღობილი საწარმო და იმავე სათავე საწარმოს სხვა შეიღობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- (ii) ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ მომუშავეთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დაქირავებულებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) პუნქტში მითითებული რომელიმე პიროვნება;
- (vii) (ა) (i) პუნქტში მითითებულ რომელიმე პიროვნებას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პიროვნება არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი სათავე საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (viii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავე საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

კომპანიის ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ:

შემოსავალი:	2022	2021
ძირითადი აქციონერები	755	1,807
სხვა დაკავშირებული მხარეები	545	5,204
ნარჯი	2022	2021
ძირითადი აქციონერები	21,008	23,581
სხვა დაკავშირებული მხარეები	158	-

21 ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გავრძელება)

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება	2022	2021
ხელფასები და პრემიები	29,472	31,800
მოთხოვნა	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ძირითადი აქციონერები	-	646
სხვა დაკავშირებული მხარეები	-	1,047
ვალდებულება	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ძირითადი აქციონერები	-	1,956
ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები ნაშთი	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სს "საქართველოს ბანკში" განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	40,677	33,788
სს "თიბისი ბანკში" განთავსებული ფულადი სახსრების ნაშთები	54,304	44,667

22 საწარმოს უწყვეტობის განხილვა

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი განიხილავს საწარმოს უწყვეტობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რათა დარწმუნდეს, რომ ფინანსური ანგარიშგების წარდგენა საწარმოს უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე სამართლიანია. მენეჯმენტი მიიჩნევს და დარწმუნებულია, რომ კომპანიის უწყვეტ ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება და არც თვითონ აქვს კომპანიის ლიკვიდაციის ან საქმიანობის მნიშვნელოვანი შეზღუდვის გეგმები.

23 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთმა დაიწყო ომი უკრაინასთან, რამაც გამოიწვია 2014 წელს დაწყებული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის ესკალაცია. ომი ჯერ კიდევ გრძელდება კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღისთვის. შეჭრა საერთაშორისო მასშტაბით დაგმეს. ბევრმა ქვეყანამ დააწესა ახალი სანქციები, რამაც გამოიწვია მძიმე ეკონომიკური შედეგები რუსეთისთვის და მსოფლიო ეკონომიკისთვის. კომპანია არ აფასებს ზემოაღნიშნული რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიდან წარმოშობილ რისკებს, როგორც მნიშვნელოვანს, ვინაიდან კომპანიას ან მის მფლობელებს და კომპანიის ძირითად კლიენტებს არანაირი კავშირი არ აქვთ არც რუსეთთან და არც უკრაინასთან.

სს "საქართველოს საფინანსო ბირჟამ" სს "კავკასიურესტრს" მიმართა წინადადებით აქციონერთა კრების მოწვევის თაობაზე. აღნიშნული არ დაკმაყოფილდა, ვინაიდან კომპანიამ მიიჩნია, რომ მათი მოთხოვნა იყო დაუსაბუთებელი და უკანონო, რის საპასუხოდაც 2023 წლის 13 თებერვალს სს "საქართველოს საფინანსო ბირჟამ" გაასაჩივრა აღნიშნული და სასამართლოს მიმართა კრების მოწვევის მოთხოვნით, რაზეც სასამართლომ მას უარი განუცხადა.

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც შეიძლება აისახოს ამ ფინანსურ ანგარიშგებაში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოდან მისი ხელმოწერის თარიღამდე არ მომხდარა.
